| *ინდიკატორი N* ***2.1.2.5.*** | *მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს* | *სასურველია, კათედრამ შეიმუშავოს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა თითოეული თემის ფარგლებში, რომელიც ნათლად აჩვენებს კრიტერიუმებთან მიმართებით რამდენად დაძლია მოსწავლემ შედეგების მიღწევის ინდიკატორები გრძელვადიანი სამიზნე ცნებების მიხედვით. რუბრიკის შედგენისას მნიშვნელოვანია ხარისხობრივი დონეების რაოდენობის სწორად განსაზღვრა. სასურველია, იმდენი დონე გამოიყოს, რომ მათ შორის ხარისხობრივი განსხვავება მკაფიოდ აღიქმებოდეს. შეფასების სკალაზე გადანაწილებული მიღწევის დონეების აღწერილობები ერთნაირად უნდა იყოს ფორმულირებული, ხოლო სხვაობები - შესაბამისი ტერმინებით/ფრაზებით გამოკვეთილი.* ***(უცხოური ენები)*** |
| *ინდიკატორი N* ***2.1.2.5.*** | *მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს* | *სასურველია,როგორც დაწყებით, ასევე საბაზო საფეხურზე, კურიკულუმის შესაბამისად შეიქმნას განმსაზღვრელი/ განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, კონკრეტული თემის ფარგლებში, სამიზნე ცნების/ მკვიდრი წარმოდგენების მიხედვით.* ***(ესთეტიკური აღზრდა)*** |
| *ინდიკატორი N* ***2.1.2.5.*** | *მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს* | *შეფასების ფორმათა ორგანიზებისას სასურველია, ისინი მეტი სიზუსტით იყოს მორგებული კონკრეტულ აქტივობებზე და მკაფიოდ იკვეთებოდეს მათი კავშირი შესაბამის სამიზნე ცნებებსა და შედეგებთან კლასისა და საფეხურის სპეციფიკის გათვალისწინებით. მნიშვნელოვანია, თითოეული აქტივობის ფარგლებში შეფასება მეტად კონკრეტულად ასახავდეს იმას, თუ რას ამოწმებს და რა უნარების განვითარებაზეა მიმართული.*<br>*ასევე სასურველია, რომ სხვადასხვა ტიპის პროდუქტის (ესე, პრეზენტაცია, თხზულება და სხვ.) შეფასებისას კრიტერიუმები იყოს მეტად დეტალიზებული და შინაარსობრივად ჩაშლილი. ეს ხელს შეუწყობს შეფასების პროცესის გამჭვირვალობას, გაამარტივებს როგორც მოსწავლისთვის მოლოდინების გააზრებას, ისე მასწავლებლისთვის შეფასების პროცესს, და საბოლოოდ შეფასებას უფრო მოქნილსა და მკაფიოს გახდის.* ***(სახელმწიფო ენა)*** |

| | | |
|---|---|---|
| *ინდიკატორი N* ***2.1.2.5.*** | *მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს* | *სასურველია, რომ მასწავლებლებმა მეტი ყურადღება გამოიჩინონ დავალებების შერჩევისას და მათი შეფასების შესაბამისი კრიტერიუმების შემუშავებაში. გადაამოწმონ მითითებულ ელექტრონულ პორტალზე განთავსებული მასალები არის თუ არა სრულ შესაბამისობაში მათი მოსწავლეების გონებრივ და ფსიქო-ფიზიოლოგიურ შესაძლებლობებთან, რამდენად მორგებულია პორტალზე განთავსებული დავალების შეფასების კრიტერიუმები სკოლის შესაბამისი კლასის მოსწავლეების შესაძლებლობებთან. თუ შესაბამისობაში არ არის ელექტრულ პორტალებზე განთავსებული დავალებები კონკრეტული კლასის მოსწავლეების ფსიქო-ფიზიოლოგიურ და გონებრივ შესაბამისობასთან, მოახდინონ ამ დავალებების კორექტირება და შეუფარდონ კლასის მოსწავლეთა შესაძლებლობებს.* ***(მათემატიკა)*** |
| *ინდიკატორი N* ***2.2.1.2.*** | *სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე* | *სასურველია სკოლამ გააძლიეროს უკუკავშირის სისტემურობა და ცვლილებების მონიტორინგის ერთიანი მექანიზმის ფორმალიზება, რადგან განვითარებად მხარედ რჩება ის, რომ მოქნილი რეაგირების პროცესები დოკუმენტურად სხვადასხვა ფაილებშია გაფანტული და არ არსებობს ერთიანი, სისტემური მექანიზმი, რომელიც გააერთიანებს საჭიროებების გამოვლენას, რეაგირებას, კორექციას და შედეგების შეფასებას.* ***(ზოგადი ექსპერტი)*** |
| *ინდიკატორი N* ***2.2.1.3*** | *შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი* | *სასურველია, შემაჯამებელი სამუშაოს დავალების თითოეულ ტიპს ახლდეს შეფასების ზოგადი რუბრიკა და მითითებული იყოს სტანდარტის ის შედეგები, რომელთა შემოწმებასაც ემსახურება შემაჯამებელი დავალება. ფორმის თვალსაზრისით, სასურველია, შემაჯამებელი სამუშაო ჩატარდეს ნებისმიერი მიმართულებით, იქნება ეს ზეპირმეტყველება, წერა თუ კითხვა.* ***(უცხოური ენები)*** |
| *ინდიკატორი N* ***2.2.1.3*** | *შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი* | *სასურველია, ყველა საგანში აწარმოონ კონკრეტულ დავალებაზე მორგებული რუბრიკები, და სადიაგნოსტიკო შეფასება, რომლებშიც მკაფიოდ გამოიკვეთება კრიტერიუმების მიმართება სამიზნე ცნებებთან და გათვალისწინებული იქნება სტანდარტით მისაღწევი შედეგები.* ***(ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური)*** |
| *ინდიკატორი N* ***2.2.1.3.*** | *სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი* | *სასურველია, რომ სკოლამ დანართი N23 სრულად განაახლოს, რადგან წარმოდგენილ დოკუმენტში დაფიქსირებულია ტექნიკური ხარვეზი — ტექსტის ნაწილი დამახინჯებულია, შეიცავს არასწორ და სკოლისთვის არარელევანტურ ტერმინებს (მაგ., მასწავლებლის სქემიდან გადმოტანილი ფორმულირებები), რაც ავლენს დოკუმენტის ტექნიკური დაზიანების ფაქტს. დებულების კორექტული, სუფთა და ტერმინოლოგიურად ზუსტი ვერსიის არსებობა კიდევ უფრო გაამყარებს შეფასების სისტემის შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებს.* ***(ზოგადი ექსპერტი)*** |
| *ინდიკატორი N* ***2.2.2.1.*** | *კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში* | *სასურველია მეტი ყურადღება მიექცეს იმ გრიფირებული სახელმძღვანელოებიდან დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში მათემატიკური ტერმინების გამოყენებას, რომლებიც თარგმნილია ქართულად და ზოგიერთი ტერმინის დასახელება მთარგმნელის მიერ რამდენადმე განსხვავდება ქართულ ენაში მიღებული და დამკვიდრებული ტერმინებისგან. ვთვლი, რომ როგორც სილაბუსებში, ისე მათემატიკის გაკვეთილებზე გამოყენებული უნდა იქნეს ქართულ ენაში დამკვიდრებული და საყოველთაოდ აღიარებული მათემატიკური ტერმინები, ადგილი არ უნდა ქონდეს სწავლების სხვადასხვა საფეხურზე ერთი და იგივე* |

| | | |
|---|---|---|
| | | *შინაარსის მქონე ცნების სხვადასხვა, ერთმანეთისაგან განსხვავებული ტერმინების გამოყენებას.* ***(მათემატიკა)*** |
| *ინდიკატორი N* ***2.2.2.3.*** | *კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით* | *სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის საფუძველზე სკოლას მიეცეს რეკომენდაცია საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის მოწყობა და რესურსებით უზრუნველყოფა მოახდინოს 2027 წლის სექტემბრამდე. მოახერხოს უსაფრთხოების წესების დაცვა შესაბამისი უსაფრთხოების ნორმების მიხედვით.* ***(საბუნებისმეტყველო მეცნიერებები)*** |
| *ინდიკატორი N* ***2.2.2.3.*** | *კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით* | *მიზანშეწონილია განხორციელდეს სპორტული დარბაზისა და გარე სპორტული მოედნის რეაბილიტაცია, რაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს სკოლის ინფრასტრუქტურას და ხელს შეუწყობს სასწავლო პროცესის ეფექტურად წარმართვას.* ***(სპორტი)*** |

## VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

## VII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

*გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.*

# ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

## 1. სკოლის ფილოსოფია

### 1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

#### 1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს**
   სკოლას შემუშავებული აქვს სკოლის მისია, ხედვა და ღირებეულებები, რომელიც დეკლარირებულია სასკოლო სასწავლო გეგმაში. ასევე განთავსებულია სკოლის ვებგვერდზე. სკოლის მისია და ხედვა შესაბამისობაში ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებთან.
   **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
2. **სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს**
   სკოლის შვიდწლიან სტრატეგიულ გეგმაში განსაზღვრულია სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო, ინკლუზიური და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებული გარემოს შექმნის ხელშეწყობა, რაც ასახულია სტრატეგიული განვითარების მიმართულებებში. სკოლა არსებული ინფრასტრუქტურის, განხორციელებული და დაგეგმილი აქტივობების საშუალებით უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფის ჩართულობას მათი ინტერესებისა და საჭიროებების შესაბამისად. სკოლის ფუნქციური სივრცეები - სპორტული დარბაზი, გარე სპორტული მოედნები და სკოლის ეზო - ქმნის პირობებს აქტიური თანამშრომლობისათვის, რაც გამოიხატება სოციალური ურთიერთობების განვითარებაში, შეხვედრების ორგანიზებაში, მოსწავლეთა თვითმმართველობისა აქტივობების განხორციელებაში, ასევე სხვადასხვა კულტურული და საგანმანათლებლო ღონისძიებების დაგეგმვასა და ჩატარებაში.
   **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
3. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით**
   სკოლის დირექციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ სამუშაო ჯგუფი, რომელიც 2022 წელს მუშაობდა სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავებაზე სკოლის დირექტორის ბრძანებით არ იყო შემდგარი, რადგან მაშინ სკოლას არ ჰქონდა სტრატეგიული დაგეგმვის, მისიის ხედვისა და ღირებულებების შემუშავების მეთოდოლოგია. აღნიშნული

მეთოდოლოგია შემუშავებულია სკოლის დირექტორის მიერ 2025 წლის 22 დეკემბრის ბრძანება N2-55ით, რის საფუძველზეც შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელიც გეგმავს მისიის, ხედვისა და ღირებულებების გადახედვას, აღნიშნული მეთოდოლოგიის პრინციპების დაცვით. აღსანიშნავია, რომ სტრატეგიული დაგეგმვაზე პასუხისმგებელი დროებითი სამუშაო ჯგუფის (ბრძანება N2-56, 22/12/2025) წევრებად არ მოიაზრება არც მშობელი და არც მოსწავლეთა თვითმმართველობის წარმომადგენელი.

სკოლამ დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, სადაც განსაზღვრა სამუშაო ჯგუფის წევრების ცვლილება და მისიის, ხედვისა და ღირებულებების გადახედვის ვადა 2026 წლის მაისამდე.

**რეკომენდაცია:**

- **სტრატეგიულ დაგეგმვაზე პასუხისმგებელი სამუშაო ჯგუფის შემადგენლობაში შეყვანილი იქნას მშობლების და მოსწავლეთა წარმომადგენლები შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში 2026 წლის მაისამდე.**
- **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გადაიხედოს სასკოლო საზოგადოების ჩართულობით შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში 2026 წლის მაისამდე.**

**ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

სკოლის მისია, ხედვა და ძირითადი ღირებულებები გაზიარებული იყო სასკოლო საზოგადოების მიერ, პედაგოგიურ და სამეურვეო საბჭოს სხდომებზე. აღნიშნული გადაწყვეტილებები დოკუმენტურად დასტურდება პედაგოგიურ და სამეურვეო საბჭოს სხდომების შესაბამისი ოქმებით.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯარო და ხელმისაწვდომია. განთავსებულია სკოლის ფოიეში საინფორმაციო დაფაზე და სკოლის ვებ-გვერდზე.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

6. **სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს**

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 19 აგვისტოს N136/ნ ბრძანების „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების სსიპ დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის N448 ბრძანებაში ცვლილების

შესახებ.“ საფუძველზე: **სსსიპ მელიტონ ქანთარიას სახელობის წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ქალაქ ჯვარის N3 საჯარო სკოლა.** სკოლის სახელი შეესაბამება სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.
**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებები.
- სტრატეგიული დაგეგმვაზე პასუხისმგებელი დროებითი სამუშაო ჯგუფი (ბრძანება N2-56, 22/12/2025);
- სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი;
- პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი;
- 2025-2026 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;
- https://skolebi.emis.ge/
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 19 აგვისტოს N136/ნ ბრძანება.

**შეფასება:**
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება
1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს**
   სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარების მეთოდოლოგია, რომელიც სკოლის დირექტორის სკოლის დირექტორის 2025 წლის 22 დეკემბრის ბრძანება N2-55-ით არის დამტკიცებული. მეთოდოლოგია წარმოადგენს გრძელვადიანი დაგეგმვის დოკუმენტს, რომლის მიხედვით სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი მოიცავს ხუთ ძირითად ეტაპს: ინფორმაციის შეგროვება-ანალიზი, მისიის, ხედვისა და მიზნების გადახედვა/დახვეწა, სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების ფორმირება, სამოქმედო გეგმის შემუშავება, შესრულების მონიტორინგი და შეფასება. ამ წესში აღწერილია პრინციპები, მეთოდები და პროცედურები, რომლებზე დაყრდნობითაც ხდება სკოლისათვის გრძელვადიანი - სტრატეგიული განვითარების და მოკლევადიანი - ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავება და რომელიც უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების, თემისა და სხვა სფეროში ჩართულ მხარეთა პრიორიტეტების, ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს.
   **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს** სკოლის შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა სკოლის მისიიდან და სკოლის სტრატეგიული მიზნებიდან გამომდინარეობს და კონკრეტული ამოცანების გადაჭრას ისახავს მიზნად. შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა წარმოდგენილია შემდეგი სტრატეგიული მიზნებით: 1.სკოლის მომსახურებების გაუმჯობესება; 2.გსასწავლო პროცესის უზრუნველყოფა სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული შესაბამისი მატერიალური რესურსით; 3. პერსონალის მოსწავლეთა უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის უზრუნველყოფა; 4. სასკოლო საზოგადოების წევრების და მოსწავლის მშობლების სასწავლო პროცესში ჩართულობის გაუმჯობესება.
   **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

.

3. **სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას**
   სკოლაში შემუშავებულია 2025-2026 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა. სამოქმედო გეგმაში წარმოდგენილია სტრატეგიული გეგმის ყველა მიმართულებით ერთი წლის განმავლობაში განსახორციელებელი აქტივობები. როგორც

სამუშაო ჯგუფის წევრებთან გასაუბრებით დგინდება 2024-2025 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის ანგარიშის და SWOT-ანალიზის საფუძველზე იქნა შემუშავებული 2025-2026 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. **სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია**

სკოლის 2025-2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია. გეგმა ასევე წარმოდგენილია კონკრეტული აქტივობების შესრულების გაზომვადი ინდიკატორები და რესურსები.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ 2025 წლის 22 დეკემბრის ბრძანება N2-55
- პედაგოგიური საბჭო სხდომის (ოქმიN610სექტემბერი 2025)
- სამეურვეო საბჭოს (ოქმი N7, 25 სექტემბერი 2025)

### 1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს**

სკოლას შემუშავებული აქვს სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია (ბრძანება N 2-55 22/12/2025) რომელიც განსაზღვრავს სტრატეგიული დაგეგმვის შემუშავების პრინციპებს, სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავებისა და მათი მონიტორინგის წესს. კერძოდ, სტრატეგიული დაგეგმვის პირველი ეტაპი მოიცავს სასკოლო საზოგადოების წევრებისაგან ინფორმაციის შეგროვებას დაწესებულების შიდა პროცესებისა და დამოკიდებულებების შესახებ.

შემდეგ ხდება სიტუაციის ანალიზი, რომელიც მოიცავს, როგორც შიდა, ისე გარე ფაქტორებს. სიტუაციის ანალიზისათვის შესაძლებელია გამოყენებულ იქნას SWOT ან რომელიმე სხვა, აპრობირებული მეთოდოლოგია. ანალიზის ეტაპზე განისაზღვრება სკოლის როგორც ძლიერი და სუსტი მხარეები, ისე საფრთხეები და შესაძლებლობები. ყოველი სასწავლო წლის ბოლოს გათვალისწინებულია სკოლის დირექციის მიერ SWOT ანალიზის შედგენა, რომლის საფუძველზეც უნდა შემუშავდეს ერთწლიანი სამოქმედო გეგმა. ყოველი სასწავლო წლის ბოლოს სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული ერთწლიანი განვითარების სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში უნდა წარედგინოს სამეურვეო საბჭოს.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით**

ადმინისტრაციასთან გასაუბრებით და სტრატეგიული მეთოდოლოგიის შესაბამისად დგინდება, რომ სტრატეგიული გეგმის გადახედვა და მონიტორინგი ხდება. აღნიშნულთან დაკავშირებით სკოლის დირექტორის მიერ შექმნილია სტრატეგიული დაგეგმვაზე პასუხისმგებელი დროებითი სამუშაო ჯგუფი (ბრძანება N2-56, 22/12/2025), რომლის შემადგენლობაშიც შედიან სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლები, სამეურვეო და პედაგოგიური საბჭოს წევრები, თუმცა მშობლების წარმომადგენელი არ არის გათვალისწინებული. აღნიშნული სამუშაო ჯგუფის მიერ განხორციელებული აქტივობები ვიზიტის პერიოდში არ იყო თუმცა მათთან გასაუბრებით დგინდება, რომ იგეგმება კითხვარების შემუშავება, რომელიც სასწავლო პროცესის მიმდინარეობას და მასთან დაკავშირებულ საკითხებს გაითვალისწინებს.
სკოლამ დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და შესაბამისობის გეგმა სადაც აღნიშნული საკითხის მოგვარება განსაზღვრულია 2026 წლის მაისში.

**რეკომენდაცია:**

- **სტრატეგიული დაგეგმვაზე პასუხისმგებელი დროებითი სამუშაო ჯგუფის შემადგენლობაში შეყვანილი იქნას მშობლების და მოსწავლეთა წარმომადგენლები და გათვალისწინებული იქნას სასკოლო საზოგადოების უკუკავშირი შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში 2026 წლის მაისში.**

**ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია.**

3. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა**

2024-2025 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის ანგარიში არ არის გამოქვეყნებული სკოლის ვებ გვერდზე  და არც განხილილი იყო საჯაროდ.

სკოლამ დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, სადაც დანართის სახით წარმოდგენილი იყო 2024-2025 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის ანგარიში, რომელიც ასევე განთავსებულია სკოლის ვებგვერდზე  http://skolebi.emis.ge/ და შესაბამისად ხელმისაწვდომია და საჯაროა.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის**

სკოლის დირექციასთან და სასკოლო საზოგადოების წევრებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სამოქმედო გეგმის შემუშავების დროს გათვლისწინებული იყო 2024-2025 სასწავლო წლის გეგმის შესრულების ანგარიში, თუმცა შესაბამისი მტკიცებულება სკოლის მიერ არ იყო წარმოდგენილი.

ხარვეზი: სამოქმედო გეგმის

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია (ბრძანება N 2-38 22/09/2023)
- პედაგოგიური საბჭოს (ოქმიN6 10/09/2025)
- სამუშაო ჯგუფი (ბრძანება N2-56, 22/12/2025

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

# 3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

## 3.1. პერსონალის მართვა

### 3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული**

   სკოლის ორგანიზაციული სტრუქტურა შედგება: დირექციისაგან, ადმინისტრაციისაგან, ტექნიკური პერსონალისაგან, სამეურვეო და პედაგოგიური საბჭოსაგან. სკოლაში მოქმედებს საგნობრივი კათედრები, დისციპლინური კომიტეტი, მოსწავლეთა თვითმმართველობა, მრჩეველთა საბჭო.

   მათი თითოეული თანამშრომლის შრომითი ვალდებულებები, ფუნქციები გაწერილია შრომით ხელშეკრულებებში.

   ავტორიზაციის ვიზიტის პერიოდში სკოლას წარმოდგენილი ჰქონდა დირექტორის ბრძანებით (N2-71-1, 22.12.2025) დამტკიცებული ძირითადი დადამხმარე სტრუქტურული ერთეულების უფლებამოსილება და საქმიანობის რეგულაციები. თანამშრომელთა ხელშეკრულებებში მკაფიოდ არის გაწერილი მათი უფლება-მოვალეობები და ფუნქციები.

   **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

..

2. **სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას**

   სკოლაში არსებული სტრუქტურული ერთეულების თანამშრომლობა ხელს უწყობს პროცესების ადმინისტრირებას. სკოლის თანამშრომლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლის თანამშრომლებმა იციან თავისი საქმიანობის სფერო, პასუხისმგებლობები და მოვალეობები, რაც ეხმარება საქმიანობის ორგანიზებაში.

   **ინდიკატორი  დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- დამტკიცებული ძირითადი დადამხმარე სტრუქტურული ერთეულების უფლებამოსილება და საქმიანობის რეგულაციები(ბრძანება N2-71-1, 22.12.2025)

- შრომითი ხელშეკრულება;
- ბრძანება მრჩეველთა საბჭოს დამტკიცების შესახებ;
- სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმები;
- პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმები.

### 3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად**

   სკოლის მართვას ახორციელებს სკოლის დირექტორი. სკოლა ხელმძღვანელობს სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული შინაგანაწესით(დამტკიცებულია 2025 წლის 08 სექტემბრის სამეურვეო საბჭოს N3 სხდომის ოქმით), სადაც გაწერილია სამუშაო კვირის ხანგრძლივობა, სამუშაო დრო, მისი აღრიცხვა, სამუშაოზე გამოცხადებისა და გამოუცხადებლობის შემთხვევებზე გათვალისწინებული პასუხისმგებლობის, თანამშრომელთა წახალისების, შრომის პირობების დაცვისა და უსაფრთხოების წესები. მოსწავლეთა და თანამშრომელთა დისციპლინური გადაცდომების სახეები და მათთვის გათვალისწინებული სახდელები, შრომითი ურთიერთობის შეჩერებისა და შეწყვეტის პირობები და წესი. სკოლის პერსონალთან ხელშეკრულებები კანონმდებლობის შესაბამისადაა გაფორმებული. სკოლას შემუშავებული აქვს და სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებულია

   **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა**

   სკოლას შემუშავებული აქვს და საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან შეთანხმებული საშტატო განრიგი. პერსონალის მოზიდვა ხდება კონკურსის საფუძველზე, რის შემდეგაც თითოეულთან ფორმდება შრომითი ხელშეკრულება. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი მოიცავს ახალ თანამშრომელთან ხელშეკრულების გამოსაცდელი ვადით დადების აუცილებლობას, თანამშრომელთა მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასებას და სხვა. სამუშაოს ხანგრძლივობა, შვებულება, წახალისება და დისციპლინური პასუხისმგებლობა დარეგულირებულია შინაგანაწესით და შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან. დასაქმებულებთან

გაფორმებული ხელშეკრულებები შესაბამისობაშია შრომის კოდექსთან. ვიზიტის პერიოდში პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრებით და დოკუმენტაციის შესწავლით დადგინდა, რომ დასაქმებულის სამსახურში არ ან ვერ გამოცხადების შემთხვევაში, მისი ჩანაცვლება ხდება სხვა თანამშრომლით. მასწავლებლის შემთხვევაში საათები გადანაწილდება საგნობრივ ჯგუფში შემავალ სხვა მასწავლებლებზე, დროებითი შრომისუუნარობის შემთხვევაში ხდება შემცვლელი მასწავლებლის მოწვევა მეზობელი სოფლების სკოლებიდან.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. **პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით**

სკოლაში თანამშრომელთა შერჩევა ხდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. სკოლის დირექტორი განსაზღვრავს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, ქმნის საკონკურსო კომისიებს, რომლებშიც ჩართულია მოწვეული სპეციალისტი (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის, პედაგოგთა პროფესიული კავშირის წარმომადგენლები, მოწვეული სპეციალისტი და ა.შ). ყველა ვაკანსიას სკოლა აცხადებს teachers.jobs.ge-ზე, სადაც განთავსებულია როგორც საკვალიფიკაციო მოთხოვნები, ასევე დასაქმებულის შერჩევის ეტაპები. საკონკურსო დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დგინდება, რომ სკოლის მიერ შემუშავებულია კანდიდატის შეფასების კრიტერიუმები, რომლითაც ხელმძღვანელობს კონკრეტული საკონკურსო კომისია, რაც ასახულია საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმებში. თანამშრომლის შერჩევის შემდეგ სკოლა აფორმებს ხელშეკრულებებს და ქმნის/აწარმოებს თანამშრომელთა პირად საქმეებს. ექსპერტების მიერ შესწავლილი იქნა 2023 წლის 16 მაისის ექიმის (https://teacherjobs.ge/62384) და 2022 წლის 15 სექტემბრის სპორტის მასწავლებლის (https://teacherjobs.ge/54827 ), რაც შესაბამისი იყო კანონმდებლობის მოთხოვნებთან.

2020 წლის ივნისის შემდეგ დასაქმებულ თანამშრომლებს არ აქვთ წარმოდგენილი ცნობები სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ და უფლების ჩამორთმევის შესახებ.

დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა სადაც თანამშრომლების მიერ ცნობების წარმოდგენის ვადად განსაზღვრა 2026 წლის მაისი.

**რეკომენდაცია:**

**შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში 2026 წლის მაისში სკოლის ყველა თანამშრომელმა წარმოდგინოს ცნობები სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ და უფლების ჩამორთმევის შესახებ.**

**ინდიკატორი არ არის დაკმაყოფილებული.**

4. **პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს**

   სკოლაში თანამშრომელთა კვალიფიკაცია შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ ნორმებს და სკოლის მიერ კონკრეტული პოზიციის დასაკავებლად დამატებით გაწერილ პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. სკოლა უზრუნველყოფს შერჩეული პირების პირად საქმეში საკვალიფიკაციო მოთხოვნებში ასახული მტკიცებულებების არსებობას. სკოლაში დასაქმებულია: დირექტორი, დირექტორის მოადგილე, ბუღალტერი, 24 მასწავლებელი (მათ შორის 15 უფროსი, 9 წამყვანი, 2 უფროსი სპეც. მასწავლებლი), საქმისმწარმოებელი, ბიბლიოთეკარი, საინფორმაციო მენეჯერი, მტუკი, ექიმი, დამლაგებელი, დარაჯი. სკოლაში დასაქმებულ ყველა თანამშრომელს აქვს შესაბამისი კვალიფიკაცია.

   **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. **პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს**

   სკოლის დირექციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ პერსონალის მართვის პროცესებში მნიშვნელოვანია გუნდური მუშაობის პრინციპი, რომელშიც ჩართულნი არიან დირექტორი, კათედრის ხელმძღვანელები და, საჭიროების შემთხვევაში, სხვა პირებიც. აღნიშნული საკითხის განხილვისას შესწავლილი იყო სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულებისა და სამუშაო ჯგუფების სხდომის ოქმები (სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, მრჩეველთა საბჭო, საგნობრივი კათედრები, ინვენტარიზაციის კომისია და ა.შ).

   **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

6. **სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი**

   სკოლა აფასებს თანამშრომელთა მიერ მიღწეულ წარმატებას და მათ მიმართ იყენებს სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულ წახალისების ღონისძიებებს (მადლობის გამოცხადება, სიგელის გადაცემა და ა.შ.). სკოლაში დასაქმებული არიან სხვადასხვა სტატუსის მქონე პედაგოგები, რომლებიც აქტიურად არიან ჩართულნი გამოცდილების გაზიარებაში. სკოლის დირექცია ატარებს სამუშაო შეხვედრებს სასკოლო საზოგადოებასთან. აღნიშნულ შეხვედრებზე მასწავლებლები ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებას, განიხილავენ სხვადასხვა სიტუაციებს, იზიარებენ ერთმანეთის გამოცდილებას. აქცენტი კეთდება მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს შექმნის ხელშეწყობაზე. სკოლაში თუ სკოლის გარეთ მიღწეულ წარმატებას სკოლის საერთო შეხვედრებზე აუცილებლად აღნიშნავენ და უცხადებენ მხარდაჭერას მოსწავლესა თუ მასწავლებელს.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- https://teacherjobs.ge/62384
- https://teacherjobs.ge/54827
- საკონკურსო კომისიის შექმნის ბრძანებები;
- კომისიის სხდომის ოქმები.
- სკოლის შინაგანაწესი;
- თანამშრომელთა პირადი საქმეები (სერტიფიკატები, დიპლომები, ცნობები);
- შრომითი ხელშეკრულება.

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**3.2. პერსონალის განვითარება**
**3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები**

სკოლა ხელს უწყობს პერსონალს პროფესიულ განვითარებას. სკოლის დირექტორთან გასაუბრებისას დგინდება, რომ სკოლას გააზრებული აქვს პროფესიული განვითარების ხელშეწყობის აუცილებლობა.

საქმიანობის შეფასებისათვის მასწავლებლებთან გასაუბრებისას ირკვევა, რომ ისინი ხშირად ესწრებიან ერთმანეთს წინასწარ დაგეგმილი განრიგის და გაკვეთილის შეფასების კრიტერიუმების გამოყენებით. აღნიშნულიდან გამომდინარე დგინდება, რომ სკოლას ფიქრობს შეფასებისა და განვითარების მექანიზმებზე აქვს გადადგმული ნაბიჯები, თუმცა სკოლას ვიზიტის დროს არ ჰქონდა შემუშავებული ადამიანური რესურსების მართვასთან დაკავშირებული ერთიანი ხედვა (ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა).

**დასკვნის პროექტის საფუძველზე, სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და დანართები ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა და 2026 წლის 15 აპრილის სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი N3, რომელზეც დამტკიცებულია აღნიშნული დოკუმენტი.**

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად**

სკოლის ადმინისტრაციასთან და მასწავლებლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სასწავლო წლის ბოლოს კათედრებზე ხდება მასწავლებლების ანგარიშების წარდგენა, ანალიზის საფუძველზეც დგინდება ის მიმართულებები, რომელშიც მასწავლებლებს ესაჭიროება დახმარება. აღნიშნულთან დაკავშირებით გაწერილია კათედრის ფარგლებში სამოქმედო გეგმის ნაწილში.

სკოლის დირექციის მიერ მხარდაჭერილია სკოლის სხვა თანამშრომელთა პროფესიული განვითარება, სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიან სამოქმედო გეგმაში გათვალისწინებულია ამ მიმართულების შესაბამისი აქტივობები.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. **სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას**

სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას. კერძოდ, უზრუნველყოფს თანამშრომელთა მონაწილეობას პროფესიული და კარიერული განვითარების მიზნით ჩატარებულ ტრენინგებსა თუ სამუშაო შეხვედრებში. მუდმივად აწვდის თანამშრომლებს ინფორმაციას მასწავლებლის პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული ტრენინგების ჩატარების შესახებ. 2025 წლის განმავლობაში სკოლის მასწავლებლებმა გაიარეს ტრენინგები სხვადასხვა მიმართულებით. ბუღალტერმა და დირექტორმა გაიარეს გადამზადება ფინანსურ საკითხებთან დაკავშირებით ხაზინის მართვის საკითხებტან დაკავშირებით.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთა**

სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტერგრაციას სამუშაო გარემოსთან, ყოველთვის მზად არის დამწყები კადრების მისაღებად და განსავითარებლად. სკოლას შემუშავებული აქვს და სკოლის დირექტორის 2025 წლის 22 დეკემბრის N2-63 ბრძანებით დამტკიცებულია პერსონალის სოციალიზაციის პროცედურები, რომელიც ხელს უწყობს დამწყებ მასწავლებლებს, შეიძინონ ყველა მნიშვნელოვანი უნარ-ჩვევა და ჩამოყალიბდნენ პროფესიონალებად. ახალი თანამშრომლები ეცნობიან სკოლაში დამკვიდრებულ წესებსა და ჩვეულებებს, რაც მათ უმარტივებს სასკოლო გარემოსთან შეგუების პროცესს.

სკოლას წარმოდგენილი აქვს მასწავლებელთან დადებული ხელშეკრულება, რომელშიც გაწერილია სკოლის მხრიდან შესაბამისი ვალდებულებები, რომელიც პუნქტ 3.1-შია გაწერილი (სკოლა ვალდებულია დასაქმებულს შეუქმნას მუშაობისათვის აუცილებელი პირობები, მასწავლებელი უზრუნველყოს სამუშაოს შესრულებისათვის საჭირო გარემოთი,) რაც ადასტურებს ინდიკატორთან შესაბამისობას.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. **წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები**

   სკოლის პერსონალთან გასაუბრებისას დასახელებული იქნა მათი პროფესიული ინიციატივების წახალისების მაგალითები. დირექციას აქვს მზაობა, მოუსმინოს თანამშრომელთა ინიციატივებს და ხელი შეუწყოს მათ განხორციელებაში. ამ მიზნით სკოლა ქმნის შესაბამის გარემოს, უზრუნველყოფს სათანადო პირობებით, შექმნილია ურთიერთთანამშრომლობითი გარემო, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს სკოლის პერსონალის წახალისებასა და ინიციატივების განხორციელებას.

   **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა:
- სკოლის შინაგანაწესი;
- პერსონალის სოციალიზაციის პროცედურები (ბრძანება N2-63, 22/12/2026);
- სერტიფიკატები;
- შრომითი ხელშეკრულება;

- ვიზუალური დათვალიერება;
- გასაუბრება სასკოლო საზოგადოებასთან.
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა.
- სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი N3, 15.04.2026.

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**3.3. პროცესების მართვა**

**3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს**
   სკოლას შემუშავებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა რომელიც დამტკიცებული სკოლის დირექტორის 2025 წლის 22 დეკემბრის N2-59 ბრძანებით. აღნიშნული დოკუმენტის მიზანია დაწესებულების შიდა შეფასების მექანიზმების დანერგვაა. წესი მიზნად ისახავს სკოლის განვითარების ხარისხის მუდმივ მონიტორინგს, შეფასებასა და განვითარებას. ჰყავს ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტურად გამყარებული და განსახორციელებელი მექანიზმები. წარმოდგენილია შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა, წლიური სამოქმედო გეგმა და სასკოლო სასწავლო გეგმა, რომლებიც ერთმანეთთან თანხვედრაშია და ეფუძნება „დაგეგმე-განახორციელე - შეამოწმე - განავითარე“ ციკლს, რაც გულისხმობს სკოლის საქმიანობის რომელი ასპექტი რა პერიოდულობით, რა თანმიმდევრობით და ვის მიერ უნდა

განხორციელდეს. განახორციელე - გულისხმობს სკოლის საქმიანობის ხარისხის შეფასების განხორციელებას წინასწარ დაგეგმილი აქტივობებით. შეამოწმე - განხორციელებულ აქტივობებს ამოწმებს მონიტორინგის ჯგუფი და შედეგებს გააცნობს სკოლის დირექციას. ასევე შემუშავებულია ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა და შიდა რეგულაციები, რომლებიც განსაზღვრავენ ხარისხის უზრუნველყოფის პროცესში მონაწილე პირების როლსა და პასუხისმგებლობებს. გასაუბრებისა და დოკუმენტების ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ სკოლა ახორციელებს თანმიმდევრულ ხარისხის მართვის პროცესებს, რაც მოიცავს საგანმანათლებლო საქმიანობის დაგეგმვას, განხორციელებას, მონიტორინგს, შეფასებას და მუდმივ სრულყოფას. დაინტერესებული მხარეების (მოსწავლეები, მშობლები, მასწავლებლები) მონაწილეობა უზრუნველყოფილია, რაც ხელს უწყობს უსაფრთხო და მათზე ორიენტირებულ გარემოს შექმნას.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები**

სკოლაში შექმნილია მართვის ერთიანი სისტემა, რომელიც გაწერილია „სკოლის ძირითადი და დამხმარე სტრუქტურული ერთეულების უფლებამოსილება და საქმიანობის რეგულაციებში“ (ბრძანება N2-71-1, 22/12/2026). სკოლაში ფუნქციონირებს სხვადასხვა ორგანიზაციული სტრუქტურა, რომლებიც ურთიერთთანამშრომლობით ხელს უწყობენ სკოლაში შექმნილი მართვის ერთიანი სისტემის დამკვიდრებასა და განვითარებას. საგანმანათლებლო საქმიანობის ეფექტიანად განხორციელებაში ჩართულია თითოეული სტრუქტურული ორგანო (დირექცია, პედაგოგიური საბჭო, სამეურვეო საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა), რომელთა ერთობლივი მუშაობით, მათი კომპეტენციის ფარგლებში ხდება სასწავლო პროცესზე ზრუნვა და პროცესის წარმართვა შეუფერხებლად. თითოეული ორგანიზაციული სტრუქტურა ხელმძღვანელობს კანონმდებლობით დადგენილი წესის, კერძოდ, „ზოგადი განათლების შესახებ“საქართველოს კანონის, სკოლის შინაგანაწესის შესაბამისად. სკოლის მიერ წარმოდგენილ ხელშეკრულებებში, ბრძანებებში განსაზღვრულია ის პირები, რომლებიც ახორციელებენ კონკრეტულ საქმიანობებს. ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკაში გაწერილი და განმარტებულია საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი (დირექციის, ადმინისტრაციის, მმართველი საბჭოების ფუნქციები), ძირითადი (საგანმანათლებლო პროცესის ორგანიზება, დისციპლინური წარმოება, მოსწავლის ადაპტაცია და მედიაცია) და დამხმარე (ადამიანური რესურსების მართვა, დოკუმენტბრუნვა, შრომითი ურთიერთობები) პროცესები, რაც სასკოლო საზოგადოებას ეხმარება

პროცესების მნიშვნელობის უკეთ გააზრებასა და წარმატებულად წარმართვაში. აღნიშნული პროცესების მათი განხორციელება უზრუნველყოფს სკოლაში სწავლისა და მართვის უწყვეტობასა და გამჭვირვალობას.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. **სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა**

   სკოლას შემუშავებული და დირექტორის 2025 წლის 22 დეკემბრის N2-75 ბრძანებით დამტკიცებული აქვს განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი. აღნიშნული წესის მოქმედება ვრცელდება სკოლაში დასაქმებულ ყველა პირზე, სკოლის მოსწავლეზე, მის მშობელზე/კანონიერ წარმომადგენელზე. ასევე, ნებისმიერ დაინტერესებულ პირზე, რომელსაც სურს, სკოლას მიმართოს განცხადებით/საჩივრით. აღნიშნული წესი საჯაროდაა ხელმისაწვდომი განთავსებულია სკოლის ვებ გვერდზე.

   სკოლა ხელმძღვანელობს შინაგანაწესით, სადაც დეტალურად არის აღწერილი სკოლის თანამშრომელთა და მოსწავლეთა დისციპლინური გადაცდომების სახეები, დისციპლინური გადაცდომის შემთხვევაში მასზე რეაგირებისა და დისციპლინური სახდელის დაკისრების წესი/პირობები. სკოლაში მოქმედებს სკოლის დისციპლინური კომიტეტი, რომელიც განიხილავს თავისი კომპეტენციის ფარგლებში დისციპლინური გადაცდომის შემთხვევებს და ახდენს სათანადო რეაგირებას.

   **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები**

   სკოლას აქვს შინაგანაწესი, რომელშიც დეტალურად არის გაწერილი დისციპლინური გადაცდომები და სახდელის ზომები. სკოლაში ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭო, რომელიც უზრუნველყოფს პერსონალის და მოსწავლეთა კანონიერი უფლებების დაცვას. ქსპერტების მიერ შესწავლილი იქნა სკოლასა და მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს შორის გაფორმებული ხელშეკრულებები, სადაც მესამე მუხლი არეგულირებს მხარეთა უფლება-მოვალეობებს. ასევე სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლის, მშობლის და მასწავლებლის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები.

   **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

..

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- „სკოლის ძირითადი და დამხმარე სტრუქტურული ერთეულების უფლებამოსილება და საქმიანობის რეგულაციებში“ (ბრძანება N2-71-1, 22/12/2026
- განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი (ბრძანება N2-75, 22/12/2025);
- შინაგანაწესი;
- ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა (ბრძანება N2-59, 22/12/2025წ.);

**3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები**
   სკოლის დირექციის, დამრიგებლების, მასწავლებლების მიერ სისტემატიურად ხდება სასკოლო საზოგადოების ინფორმირება სკოლაში მიმდინარე პროცესებზე. სკოლის სოციალური ქსელში მუდმივად ხდება სიახლეების განთავსება. მშობელთა კრებებზე ხდება აზრთა გაცვლა-გამოცვლა, რეკომენდაციების მიღება. სამეურვეო საბჭოს სხდომებზე წევრი მშობლები აქტიურად არიან ჩართული სკოლის მართვის პროცესებთან დაკავშირებულ განხილვაში. მათი მხრიდან მოცემული უკუკავშირი არის ორიენტირებული თანამშრომლობაზე და არსებული ვითარების გაუმჯობესებაზე.
   მშობელთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში(მუხლი 3. პუნქტი1.3.) გათვალისწინებულია სკოლის ვალდებულება მშობელის/კანონიერი წარმომადგენლის ინფორმირება მოსწავლის აკადემიური მოსწრებისა და გაცდენების შესახებ.
   **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
2. **უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა**
   სკოლაში მოქმედ კოლეგიურ ორგანოებში (სამეურვეო, პედაგოგიურ და მრჩეველთა საბჭოებში, მოსწავლეთა თვითმმართველობა, დისციპლინური კომიტეტი) გაერთიანებული არიან სასკოლო საზოგადოების წევრები, რომლებიც აქტიურად მონაწილეობენ მათ საქმიანობაში. სკოლის სამეურვეო საბჭოს შემადგენლობაში არიან მშობლები, მასწავლებლები და საშუალო საფეხურის თვითმმართველობის თავმჯდომარე. დისციპლინური კომიტეტის შემადგენლობაში შედის თანაბარი რაოდენობით მშობელი და მასწავლებელი, მოსწავლე(საშუალო საფეხური).

დირექციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლისათვის მეტად მნიშვნელოვანია მშობელთა ჩართულობა და აღნიშნული მიმართულებით დაგეგმილია მრავალფეროვანი აქტივობები, მათივე ინტერესებიდან გამომდინარე.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სამეურვეო და პედაგოგიური საბჭოს ოქმები;
- მრჩეველთა საბჭოს სხდომის ოქმები;
- მშობლის ინფორმირების წესი (კომუნიკაციის სტრატეგია).
- მშობლებთან გაფორებული ხელშეკრულებები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება**

**3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა**

   სკოლას ჰყავს 2 მანდატური, რომელიც უზრუნველყოფს უსაფრთხოების დაცვას. შენობაში დამონტაჟებულია ვიდეო სამეთვალყურეო სისტემა, აღნიშნული სისტემის მონიტორინგს აწარმოებენ მანდატურები.

   სკოლის წარმოადგინა სსიპ-ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა (N001558926; 06/03/2026), რომელშიც განმარტებულია, რომ „სკოლის N1/3 შენობის(სასწავლო კორპუსი) ამჟამინდელი ტექნიკური მდგომარეობა ვიზუალური დათვალიერების საფუძველზე, დამაკმაყოფილებელია და უსაფრთხოა ექსპლუატაციისათვის“.

   სკოლას არ აქვს შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან.

   სკოლას არ აქვს მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ.

   დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და შესაბამისობის გეგმა, სადაც წარმოადგინა **მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ (წერილი N MES 1 26 0000370783, 27.03.2026)).**

   **ასევე მიმართა საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს საგანგებო გეგმის შეთანხმებასთან დაკავშირებით (MES 1 26 0000370747, 27.03.2026) და შესრულების ვადად განსაზღვრა 2027 წლის მარტი.**

   **რეკომენდაცია:**

   **შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში, 2027 წლის მარტამდე სკოლამ შეათანხმოს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან.**

   **ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია.**

.

2. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას**

სკოლის შენობის პირველ სართულზე მოწყობილია სამედიცინო კაბინეტი, რომელიც აღჭურვილია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანება №41/ნ/01-23/ნ, 21 მარტი 2022წ. შესაბამისად და აკმაყოფილებს ბრძანებით განსაზღვრულ ყველა მოთხოვნას.

სკოლას შემუშავებული აქვს სამედიცინო პერსონალის საქმიანობის დებულება (ბრძანება N2-67, 22/12/2025), რომელიც არეგულირებს პირველადი დახმარების აღმოჩენის წესსა და პროცედურებს. აღნიშნული დოკუმენტის მიზანია განსაზღვროს პირველადი გადაუდებელი დახმარების ძირითადი ელემენტები და განსახორციელებელი ქმედებები, რათა მათი ზუსტი შესრულებით შეუნარჩუნოთ ადამიანს ჯანმრთელობა.

სკოლის საშტატო განრიგის შესაბამისად განსაზღვრულია ექიმი, რომელიც სკოლას დასაქმებული ჰყავს კონკურსის საფუძველზე, გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულება. დოკუმენტაციის წარმოება ხდება ელექტრონულად (მოსწავლეთა ბაზები, ინფორმაცია აცრების შესახებ, ალერგიის შესახებ, მშობლების საკონტაქტო ინფორმაცია) და მატერიალურად. ექიმი აფიქსირებს აღრიცხვის ჟურნალში მის მიერ აღმოჩენილი დახმარების ფაქტებს, აწარმოებს წამლის გაცემას, ჩამოწერას, სასწრაფოს გამოძახებას.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. **სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას**

სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას. შემუშავებული აქვს და სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებულია 2025 წლის 22 დეკემბრის N2-70 ბრძანებით დამტკიცებულია უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები. სკოლის მანდატური აწყობს საინფორმაციო ხასიათის შეხვედრებს სასკოლო საზოგადოების წევრებთან, სადაც ხდება მოსწავლეთა უფლებებისა და წესების, ასევე, სკოლის უსაფრთხოების საკითხების გაცნობა ყველა მოსწავლისთვის.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს**

სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს. მოსწავლეზე ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ემოციური, ეკონომიკური და ა.შ. ძალადობის ნიშნების შესახებ ეჭვის გაჩენის შემთხვევაში ხდება მოსწავლესთან გასაუბრება. სკოლას ჰყავდა ინკლუზიურ განათლებაში ჩართული 2 სპეციალური მასწავლებელი, რომელიც უზრუნველყოფდა განსაკუთრებით მოწყვლადი ჯგუფის სსსმ მოსწავლეების ემოციურ, ფსიქოლოგიურ სტაბილურობასა და უსაფრთხოებას. სასკოლო საზოგადოებას გააზრებული აქვს აღნიშნული საკითხების პრიორიტეტულობა. სკოლის დამრიგებლების მიერ ხდება სადამრიგებლო საათის ფარგლებში მოსწავლეთათვის

ინფორმაციის მიწოდება, რათა იზრუნონ ერთმანეთის უსაფრთხოებაზე. აღნიშნული საკითხები განხილულია მრჩეველთა საბჭოს მიერ, რაც მრჩეველთა საბჭოს ოქმებშია დაფიქსირებული.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. **სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას**

   სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას. ამ მიზნით სკოლის დამლაგებლებს დავალებული აქვთ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის დასუფთავება, ისინი დაკისრებულ ფუნქციას ასრულებენ და ასუფთავებენ სასკოლო სივრცეს. სკოლის სანიტარული-ჰიგიენური ნორმების დაცვის მონიტორინგს ახორციელებს დირექცია და სკოლის ექიმი. შენობის სანიტარულ კვანძებში გამოკრულია სანიტარული კვანძების დასუფთავების აღრიცხვის ფურცელი.

   **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

6. **სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას**

   პერსონალური მონაცემების დაცვაზე სკოლას განსაზღვრული ჰყავს პერსონალური მონაცემების დაცვის მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც დარღვევების აღმოჩენის შემთხვევაში ვალდებულია ინფორმაცია მიაწოდოს სკოლის დირექტორს. სკოლა იცავს პერსონალური მონაცემების კონფიდენციალობას და მოქმედებს სკოლის თანამშრომლების და მოსწავლეების საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე. სკოლას განსაზღვრული ჰყავს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი, მონაცემები ატვირთულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის საიტზე

   **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

7. **სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები**

   სკოლა უზრუნველყოფს მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვას. სკოლას ემსახურება საგანმანათლებლო რესურსცენტრის IT სპეციალისტი. აღნიშნული პირი უზრუნველყოფს, სკოლის საჭიროებიდან გამომდინარე, სკოლის ინტერნეტ-ქსელის ადმინისტრირებას. უზრუნველყოფს სკოლის კომპიუტერულ ბაზაში იმგვარი ანტივირუსების ჩაწერას, რომელთა მეშვეობითაც უზრუნველყოფილია სკოლის ქსელში ჩართული კომპიუტერული ბაზის კიბერბულინგისგან დაცვა. კომპიუტერულ ბაზაში ინახება სხვადასხვა მნიშვნელოვანი ინფორმაცია, შესაბამისად, მის დაცვას უზრუნველყოფს სწორედ შიდა ქსელის გამართულად ფუნქციონირება. სკოლის მრჩეველთა საბჭოსა და დირექციის მიერ ტარდება კამპანია სკოლის მოსწავლეებსა და თანამშრომლებისათვის კიბერბულინგის შესახებ, რათა მაქსიმალურად დაცულნი იყვნენ სკოლაში არსებული ინფორმაციის უკანონოდ გავრცელებისგან.

   **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

8. **სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის**

სკოლის ყველა სართულზე კანონით დადგენილი წესით განთავსებულია დატუმბული ცეცხლმაქრები, გამოკრულია საევაკუაციო გეგმა. მრჩეველთა საბჭო, განიხილავს საკითხებს, რომლებიც საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან და უსაფრთხოებასთან არის დაკავშირებული; მსჯელობს ღონისძიებებზე, პრევენციულ ნაბიჯებზე, რომლებიც ხელს შეუწყობს უსაფრთხოების მექანიზმების გაუმჯობესებას; ისმენს და განიხილავს დირექტორის მოხსენებებს აღნიშნულ საკითხებზე, რაც ასახულია მრჩეველთა საბჭოს სხდომის ოქმებში.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- ლევან სამხარაულის სახელობის ეროვნული ბიუროს დასკვნა(N001558926; 06/03/2026:
- სამედიცინო პერსონალის საქმიანობის დებულება (ბრძანება N2-67, 22/12/2025),
- უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები (ბრძანება N2-70, 22/12/2025);
- სკოლის შინაგანაწესი;
- მრჩეველთა საბჭოს შექმნის ბრძანება, ოქმები;
- სანიტარული კვანძის დასუფთავების აღრიცხვის ფურცელი;
- პერსონალური მონაცემების დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები;
- საევაკუაციო გეგმა.
- სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ (წერილი N MES 1 26 0000370783, 27.03.2026).
- წერილი საგანგებო გეგმის შეთანხმებასთან დაკავშირებით (MES 1 26 0000370747, 27.03.2026)

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა**

**3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**
   სკოლას სარგებლობაში აქვს გადაცემული 7796 კვ.მ. ფართი მიწის ნაკვეთი, რომელზეც საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით დგას 3 შენობა (შენობა N01 ფართი 2161,69 კვ.მ.- სასწავლო კორპუსი; შენობა N02 ფართი 30 კვ.მ. - საქვაბე; შენობა N03 ფართი 140კვ.მ. დამხმარე ნაგებობა). შენობა სამსართულიანია. პირველ სართულზე განთავსებულია საკლასო ოთახები, სპორტული დარბაზი, სამედიცინო კაბინეტი, სასადილო ოთახი, რესურს ოთახი, სველი წერტილები. მეორე სართულზე: საკლასო ოთახები, სამასწავლებლო. მესამე სართულზე: საკლასო ოთახები, ბუღალტერია/კანცელარია, ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ლაბორატორია, საბუნებისმეტყველო ლაბორატორია. სკოლაში ყოველ მოსწავლეზე გამოყოფილია ინდივიდუალური მერხი და სკამი, საკლასო ოთახებში განთავსებულია თითო დაფა. სკოლის ბიბლიოთეკა აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით და წიგნადი ფონდით.
   **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
2. **დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის**
   სასკოლო საზოგადოების წევრებთან გასუბრებით დგინდება, რომ სკოლის ინფრასტუქტურის სივრცეები ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და მასწავლებლებისათვის. სკოლაში არსებული ტექნიკა და რესურსები ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისათვის. სკოლას შემუშავებული აქვს ბიბლიოთეკით და ლაბორატორიით სარგებლობის წესი, რომელიც გამოკრულია შესაბამის სივრცეებში. ეზოში მოწყობილია რეკრეაციული სივრცეები, სკოლას სამივე სართულზე

აქვს ფართე დერეფნები, რომლებსაც აქტიურად იყენებენ სახვდასხვა აქტივობებისათვის, ფორმალური თუ არაფორმალური.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. **სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით**

სკოლას შემუშავებული აქვს ბიბლიოთეკის დებულება (ბრძანება N2-58, 22/12/2025), რომელიც გამოკრულია ბიბლიოთეკის შიდა სივრცეში. სკოლას ჰყავს ბიბლიოთეკარი. მასთან გასაუბრიბით დადგინდა, რომ იგი ინფორმირებულია ბიბლიოთეკის წესის შესახებ. თუმცა წიგნები არ არის დამუშავებული წესის შესაბამისად, არ არის წიგნების ელექტრონული/მატერიალური ბაზა, შესაბამისად არ ხორციელდება წიგნადი ფონდის აღრიცხვა. სკოლის ბუღალტერს აქვს მიღება-ჩაბარებები, როგორც სახელმძღვანელოების ისე მხატვრული ლიტერატურისა.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტის გაცნობის შედეგად სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა და დანართი. დანართი არის ბრძანება (N2-21, 06.04.2026) სკოლის ბიბლიოთეკის ინვენტარიზაციის კომისიის შექმნის შესახებ, რომლის საფუძველზეც 2026 წლის ივლისის ცათვლიტ უნდა აღიწეროს სასკოლო ბიბლიოტეკის ფონდი და დამუშავდეს ყველა წიგნი ბიბლიოთეკის დებულების შესაბამისად.

**რეკომენდაცია:**

**2026 წლის 06 ივლისს სკოლის ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდა აღირიცხოს სრულად და თითოეული წიგნი დამუშავებული იქნას წესის შესაბამისად (ბიბლიოთეკის დებულების მუხლი 10, მუხლი 11).**

**ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებული.**

4. **სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს**

სკოლა აღჭურვილია სათანადო ინფრასტრუქტურით, არის კეთილმოწყობილი საპირფარეშოები. სკოლაში ფუნქციონირებს რესურსოთახი. მოსწავლე სკოლის მიერ უზრუნველყოფილია ინდივიდუალური სასწავლო ინვენტარით. სკოლაში ამ ეტაპზე არ არის შშმ მოსწავლე.

სკოლას არ აქვს ადაპტირებული გარემო. შშმ პირთათვის პანდუსი აქვს შენობაში შესასვლელად, თუმცა არ აქვს პანდუსი არც არც ლიფტი მეორე და მესამე სართულებზე ასასვლელად. სკოლა ვერ უზრუნველყოფს შშშმ პირთათვის დაუბრკოლებლად გადაადგილებისათვის შესაძლებლობას. შშმ მოსწავლის არსებობის შემთხვევაში ხელმისაწვდომი ვერ იქნება: ბიბლიოთეკა, საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, კომპიუტერული ლაბორატორია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და შესაბამისობის გეგმა. აღნიშნულ გეგმაში ინფრასტრუქტურული პრობლემების მოგვარების ვადად განისაზღვრა 2028 წლის მაისი.

**რეკომენდაცია:**
**სკოლაში ინკლუზიურ გარემოს უზრუნველყოფისათვის, კერძოდ პანდუსის/ლიფტის როგორც მეორე და მესამე სართულზე გადასაადგილებელი საშუალების მოწყობის ვადადად , შესაბამისობის გეგმის თანახმად განისაზღვროს 2028 წლის მაისი.**
**ინდიკატორი ნაწილობრივ დაკმაყოფილებულია.**

5. **სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას**
სკოლას აქვს სივრცეები, რომელიც გამოიყენება სხვადასხვა ღონისძიების, შეხვედრების კონკურსებისა და ინტელექტუალური ვიქტორინებისათვის. აღნიშნულ ცივრცეებში იმართება პროექტების პრეზენტაციები, სხვადასხვა სახის ღონისძიებები, რაც ხელს უწყობს სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას. ასევე, სკოლას აქვს გარე სპორტული მოედნები, სადაც უზრუნველყოფილია მოსწავლეთა მხრიდან სხვადასხვა სპორტულ აქტივობაში მონაწილეობის საშუალება. სკოლის ბიბლიოთეკით სარგებლობა შესაძლებელია დღის განმავლობაში.
**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან ფართის ფლობის შესახებ(N882026104828; 10/02/2026);
- ბიბლიოთეკის დებულება (ბრძანება N2-58, 22/12/2025)
- შენობის აზომვითი ნახაზი

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☒ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**3.6. საინფორმაციო რესურსები**

**3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას**
   სკოლის ბალანსზე ირიცხება 40 კომპიუტერი/ლეპტოპი, 2 პროექტორი, 5 პრინტერი. სკოლაში არის კომპიუტერული ლაბორატორია. სკოლა სარგებლობს გამართული ელექტრონული ხელმოწერით. ე.წ.“ტოკენი“-ის საშუალებით.
   **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
2. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად**
   სკოლაში არსებული კომპიუტერებით სარგებლობს სკოლის დირექცია და ადმინისტრაცია (დირექტორი, ბუღალტერი, საქმისმწარმოებელი, ბიბლიოთეკარი). სკოლაში არსებული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურით სარგებლობის საშუალება აქვს სასკოლო საზოგადოების თითოეულ წევრს მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესის შესაბამისად.
   **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი (ბრძანება N2-61, 22/12/2025)
- ტექნიკის მიღება-ჩაბარება;
- ინვენტარიზაციის დოკუმენტები.;
- ვიზუალური დათვალიერებით.

**3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი**

   სკოლაში საქმისწარმოება ხდება eflow-ს მეშვეობით, სადაც აღირიცხება შემოსული და გასული დოკუმენტაცია, რეგისტრაციაში ტარდება განცხადებები, რომელთაც ენიჭება ინდივიდუალური ნომერი და თარიღი, იტვირთება ბრძანებები. ბრძანებები ინახება მატერიალური ფორმატითაც. სკოლას შემუშავებული აქვს საქმისწარმოების წესი (ბრძანება N2-66, 22/12/2025წ.), თუმცა არ არის შესაბამისობაში არსებულ საქმისწარმოებასთან, შესწავლილი დოკუმენტაცია შესაბამისობაში არ მოდის აღნიშნულ წესთან. მაგალითად საქმისწარმოების წესში გაწერილია შემოსული დოკუმენტაციის რეგისტრაციის ჟურნალი-№3 და გასული დოკუმენტაციის რეგისტრაციის ჟურნალი-№4., რომელიც არ იწარმოება სკოლაში და რეალურად საჭიროება არც არსებობს. ცალკეა გაწერილი „მუხლი 10. მოსწავლეთა ჩარიცხვის და ამორიცხვის ბრძანების რეგისტრაციისა და აღრიცხვის წესი", რაც არ ხდება სკოლაში და არც წარმოადგენს საჭიროებას.

   ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნის გაცნობის შემდეგ დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და დანართის სახით დაურთო სკოლის დირექტორის 2026 წლის 14 აპრილის N2-26 ბრძანებით დამტკიცებული სკოლის საქმის წარმოების წესი, რომელიც შესაბამისობაში მოქმედ კანონმდებლობასთან.

   **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა**

   სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის ელექტრონული საქმისწარმოებისათვის. მოქმედებს eflow-ს ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემა, სადაც ხდება ყოველი შემოსული და გასული დოკუმენტაციის გატარება, ბრძანებების რეგისტრაცია. Eschool-ის სისტემის გამოყენებით ხორციელდება მოსწავლეთა მობილობის პროცესი, ჩარიცხვა, სტატუსის შეჩერება და სხვა. ასევე ბაზაში არის ინფორმაცია, თანამშრომლების, მოსწავლეებისა და მათი მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების შესახებ. ბაზაში განთავსებულია საგაკვეთილო განრიგი/ცხრილი, სამეურვეო საბჭოს არჩევნების შედეგები, ხარისხის ჯგუფის შემადგენლობა, სახელმძღვანელოები და ა.შ. სკოლაში მოქმედებს სკოლის ოფიციალური ელექტრონული ფოსტა, სადაც ხდება ინფორმაციის გაცვლა. სკოლა აღჭურვილია გამართული კომპიუტერული ტექნოლოგიით.

   **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. **სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში**

   სკოლას აქვს ზოგადი განათლების მართვის სისტემაში სრულყოფილი პროფილი, რომელშიც სრულად არის ასახული მონაცემები სკოლის პერსონალისა და მოსწავლეების, მათი კანონიერი წარმომადგენლების შესახებ. პროფილის განახლება ხდება უწყვეტ რეჟიმში. განხორციელებულია საგნების განაწილება, შედგენილია ცხრილები, არჩეულია

სახელმძღვანელოები, დაწესებულება კანონდმებლობით დადგენილ ვადებში უზრუნველყოფს ინფორმაციის ასახვას განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში.
**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან**
   სკოლის ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის შესწავლის შედეგად დგინდება, რომ დაწესებულება დროულად აწვდის უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.
   **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- საქმისწარმოების წესი(ბრძანება N2-66, 22/12/2025წ.);
- სკოლის Eschool-ის ბაზა;
- სკოლის eFlow-ს გვერდი.

**3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით**
   სკოლას აქვს ოფიციალური ვებ-გვერდი სკოლების პორტალზე https://skolebi.emis.ge/, ასევე საზოგადოების ინფორმირებასა და კომუნიკაციას ოფიციალური სოციალური ქსელით ახორციელებს. თანამშრომელთა და მოსწავლეთა აქტივობების განთავსებასა და გავრცელება ხდება სოციალური გვერდის საშუალებით.
   **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას**
   სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის, მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას. დაწესებულება იყენებს ოფიციალურ ვებ-გვერდს, სოციალურ ქსელში სკოლის გვერდს. სოციალურ ქსელში გვერდის დათვალიერებით, დგინდება რომ გამოქვეყნებული ინფორმაცია მოსწავლეებისთვის განკუთვნილი სასწავლო თუ შემეცნებითი ღონისძიებები, არის სანდო და უტყუარი.
   **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
3. **საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად**
   სკოლის დირექციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ სასკოლო საზოგადოებისა და დაინტერესებული პირებისაგან კომუნიკაციის სხვადასხვა არხის საშუალებით მიღებული ინფორმაცია ეხმარება სკოლას საჭიროებების გამოვლენაში, არსებული ვითარების შეფასებასა და შემდგომი საქმიანობის დაგეგმვაში. დაწესებულებამ წარმოადგინა მშობელთა კმაყოფილების კვლევის კითხვარი და ანალიზი, რომელშიც კითხვები ეხება სკოლის ინფრასტრუქტურას, სკოლის თანამშრომლებთან ურთიერთობას, სასწავლო პროცესს და განხორციელებულ აქტივობებს. უკუკავშირის გამოყენება ხელს უწყობს სკოლის საქმიანობის ხარისხის ამაღლებას, გამჭვირვალობის ზრდას და სასკოლო საზოგადოების წევრთა ჩართულობას პროცესებში.
   **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
4. **სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას**
   სკოლაში სასწავლო პროცესი მიმდინარეობს სახელმწიფო ენაზე. სკოლა აქვს ვებ-გვერდი http://skolebi.emis.ge/ , სადაც ინფორმაცია ქართულ ენაზეა განთავსებული და აღნიშნული გვერდის ნახვის შესაძლებლობა ნებისმიერ დაინტერესებულ პირს, შესაბამისად, შეუძლიათ მათთვის საინტერესო ინფორმაციის მოძიება.
   **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. **ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული**

**აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია**
სკოლას აქვს ვებ-გვერდი, სადაც ხელმისაწვდომია სკოლის შესახებ საჯარო ინფორმაცია. ინფორმაცია სკოლის შესახებ, მოსწავლეთა რაოდენობა, მისამართი, სტრატეგიული განვითარების გეგმა (2022-2029), ერთწლიანი სამოქმედო გეგმა(2025-2026), სკოლის სტრუქტურა, პროგრამის სახელწოდებები კლასების მითითებით, ელ.ფოსტა, საჩივრისა და განცხადების წარდგენის წესი, ინფორმაცია ინფრასტრუქტურის შესახებ.
სკოლას ავტორიზაციის ვიზიტის პერიოდში არ ჰქონდა წარმოდგენილი 2024-2025 სასწავლო წლის ანგარიში, მოსწავლის ჩარიცხვის წესი, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი, სკოლის შინაგანაწესი, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები.
არგუმენტირებული პოზიციის გაცნობის და ვებგვერდის განმეორებით შესწავლის შემდეგ დგინდება, რომ ძემოთ ჩამოთვლილი ყველა დოკუმენტი განტავსებულია სკოლის ვებგვერდზე.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- http://skolebi.emis.ge/

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

## 3.7. ფინანსური რესურსები
### 3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება**
   სკოლა იღებს სახელმწიფო დაფინანსებას ვაუჩერის სახით. სკოლა ყოველწლიურად შეიმუშავებს ბიუჯეტს, რომელსაც ამტკიცებს სამეურვეო საბჭო. სამეურვეო საბჭოს წინაშე წარმოდგენილია 2025 წლის ფინანსური ანგარიში, საბჭოს სხდომაზე განხილული იყო სასწავლო პროცესის მიმდინარეობის ანგარიში და 2026 წლის ბიუჯეტი. სკოლას შემუშავებული აქვს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული შესყიდვების გეგმა (2025 წლის 19 ნოემბერი), რომელიც დამტკიცებულია სკოლის დირექტორის მიერ. სკოლის მიერ შემუშავებულია შესყიდვის განხორციელების წესი, განსაზღვრულია შესყიდვების კოორდინატორი, რომელსაც ევალება შესყიდვის პროცედურებთან დაკავშირებული მოთხოვნების სწორად განხორციელება. შესწავლილი დოკუმენტაციის საფუძველზე, კეთდება დასკვნა, რომ სკოლა ფინანსური რესურსით უზრუნველყოფს სასწავლო პროცესების მიმდინარეობას.
   **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა**
   სკოლაში დამტკიცებულია აქვს 2026 წლის ბიუჯეტი, რომლის მიხედვითაც ხდება სკოლის მიერ ფინანსური რესურსის ხარჯვა. დამტკიცებულ ბიუჯეტში შემოსავლების ზრდისა თუ შემცირების ცვილებების შემთხვევაში იგივე პროცედურების უზრუნველყოფით ხდება ბიუჯეტის ცვლილების დამტკიცება სამეურვეო საბჭოს მიერ. სკოლას აქვს შემუშავებული სახელმწიფო შესყიდვების გეგმა. სკოლის ბუღალტერთან და დირექტორთან გასაუბრებით დგინდება, რომ ახალი გეგმის შესამუშავებლად ხდება ბოლო ორი წლის შესყიდვების და ხარჯების ანალიზი. ანალიზის, ბაზრის კვლევისა და სამოქმედო გეგმის შეჯერების საფუძველზე დირექციამ შეიმუშავა 2026 წლის ბიუჯეტი და შესყიდვების გეგმა. შესყიდვების გეგმის ცვლილების შემთხვევაში ხდება აღნიშნული ცვლილების ბრძანებით დამტკიცება და ცვლილების ელექტრონულ EPLAN-ის ბაზაში ასახვა. სკოლაში ყოველწლიურად ტარდება ფინანსური და მატერიალური ინვენტარიზაცია (საინვენტარიზაციო კომისიის შექმნის შესახებ ბრძანება MES 6 25 0001771008, 11/12/2025). სკოლის

დირექტორი, კანონმდებლობის შესაბამისად, ყოველი წლის 10 დეკემბრამდე სამეურვეო საბჭოს წინაშე წარადგენს და აცნობს ანგარიშს ფინანსური საქმიანობისა და სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ. ბიჯეტში ცვლილებების განხორციელების საჭიროების შემთხვევაში სკოლის დირექტორი სამეურვეო საბჭოს წარუდგენს ახალ ბიუჯეტს და მხოლოდ სამეურვეო საბჭოს მიერ ცვლილების დამტკიცების შემდეგ ხდება შეცვლილი ბიუჯეტით მოქმედება.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი;
- 2025 წლის ფინანსური ანგარიში;
- 2026 წლის შესყიდვების გეგმა;
- 2026 წლის ბიუჯეტი;
- საინვენტარიზაციო კომისიის შექმნის შესახებ ბრძანება MES 6 25 0001771008, 11/12/2025.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**4. მოსწავლეთა მხარდაჭერა**

**4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა**

**4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა**

   სკოლას შემუშავებული აქვს შინაგანაწესი რომელიც შეთანხმებულია სასკოლო საზოგადოებასთან და დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს მიერ. აღნიშნული დოკუმენტის დაცვის და აღსრულების უზრუნველსაყოფად იგი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებისათვის. შინაგანაწესი აგრეთვე გამოკრულია სკოლის ფოიეში. N06/ნ ბრძანების შესაბამისად, შექმნილია მრჩეველთა საბჭო, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეთათვის და მათი კანონიერი წარმომადგენლებისათვის მოსწავლეთა უფლებებისა და მოვალეობების, დარღვეული უფლების აღდგენისა და დაცვის შესახებ ინფორმაციის მიწოდებას, რომელიც, თავის მხრივ, წარმოადგენს მოსწავლეთა უფლების დაცვის გარანტიას. სასწავლო წლის დაწყებიდან ერთი თვის ვადაში მრჩეველთა საბჭოს წევრები აწყობენ საინფორმაციო ხასიათის შეხვედრებს მოსწავლეებთან და მათ კანონიერ წარმომადგენლებთან, მათთვის ხდება მოსწავლეთა უფლებებისა და წესების გაცნობა. სკოლაში დამტკიცებულია ბავშვის მიმართ განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქცია, ასევე, განსაზღვრულია რეფერირების პროცედურების განხორციელებაზე უფლებამოსილი პირი, რომელიც შიდა წესის შესაბამისად, უზრუნველყოფს მოსწავლეთა უფლებების დაცვას. სკოლაში შექნილია დისციპლინური კომიტეტი და სამეურვეო საბჭო. სკოლის თანამშრომლის ან მოსწავლის მიერ მოსწავლის უფლებების დარღვევის შემთხვევაში დაიწყება ადმინისტრაციული წარმოება კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად და დარღვევის დადასტურების შემთხვევაში შესაბამის პირს ეკისრება დისციპლინური სახდელი.

   **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთა**

   მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან; სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით და სადამრიგებლო პროგრამების თანახმად, დამრიგებელი სასწავლო წლის დასაწყისში მოსწავლეებს და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს აცნობს სკოლის შიდა მარეგულირებელ დოკუმენტებს. სამეურვეო საბჭო ამტკიცებს სკოლის შინაგანაწესს, რომელიც გამოკრულია დერეფანში და სასკოლო საზოგადოების ჩართულობით მასში ხორციელდება ცვლილებები. მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულება ითავლისწინებს შინაგანაწესის გაცნობას, რაც დასტურდება ხელმოწერით.

   **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. **მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.**
   სკოლასა და მშობელს შორის გაფორმებულია ხელშეკრულება. კლასის დამრიგებელი აცნობს მშობელს ხელშეკრულებას და საჭიროების შემთხვევაში განუმარტავს მისთვის გაურკვეველ საკითხს. ასევე საჭიროების შემთხვევაში შესაძლოა სკოლის დირექციის ჩართვის. ხელშეკრულებაში გაწერილია სკოლის უფლებები და მოვალეობები, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლების უფლებები და მოვალეობები, მოსწავლის უფლებები და მოვალეობები, მოსწავლეთა პერსონალური მონაცემების გამოყენების წესი.
   **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სკოლის შინაგანაწესი;
- სკოლის პედსაბჭოს ოქმი შინაგანაწესის გაცნობის შესახებ;
- მშობელსა და სკოლას შორის გაფორმებული ხელშეკრულება;
- მრჩეველთა საბჭოს შექმნის ბრძანება;

**4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები**
   სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი. აღნიშნული წესი არეგულირებს სკოლაში მოსწავლის ჩასარიცხად აუცილებელი დოკუმენტების ჩამონათვალს და მოსწავლის ჩარიცხვის, კლასიდან-კლასში გადაყვანის, სტატუსის შეჩერების, მობილობისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების საფუძველზე მოსწავლის ჩარიცხვის პროცედურებს. დოკუმენტი ითვალისწინებს შემდეგ საკითხებს: სკოლაში პირველ კლასში ჩასარიცხ მოსწავლეთა რიცხოვნობის განსაზღვრა,

რეგისტრაცია და მისი ეტაპები; სკოლაში მოსწავლეთა ჩარიცხვა და ჩარიცხული მოსწავლეების შესახებ მონაცემების ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის საინფორმაციო სისტემაში ასახვა; მოსწავლის სტატუსის შეჩერება; მოსწავლის შეჩერებული სტატუსის აღდგენა; მოსწავლეთა მობილობის წესი; მობილობისას განსახორციელებელი პროცედურები; მოსწავლის კლასიდან კლასში გადაყვანა; პასუხისმგებლობა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის საინფორმაციო სისტემაში ასახული მონაცემების სისწორეზე; დოკუმენტი თანხვედრაშია მოქმედ კანონმდებლობასთან.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **კოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს**

სკოლის დირექციასთან საქმისმწარმოებელთან გასაუბრებით, eFlow-ის სისტემისა და Eschool-ის ბაზების შესწავლით დგინდება, რომ მოსწავლეთა ჩარიცხვა ხდება მოსწავლეთა განსაზღვრული რაოდენობის შესაბამისად. დირექციასთან გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ იციან საჭიროების შემთხვევაში კლასში 25 მოსწავლეზე მეტის არსებობის შემთხვევაში მოთხოვნა ეგზავნება საგანმანათლებლო რესურსცენტრს, თუმცა ასეთი შემთხვევა არასდროს ყოფილა. მოსწავლის სტატუსის შეჩერების პროცედურა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ხორციელდება.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. **სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი; სასწავლო წლის დასასრულს ხდება მეხუთე კლასში გადამსვლელი მოსწავლეების მშობლების გამოკითხვა მეორე ენის არჩევის შესახებ.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული**

სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

სკოლის მიერ შეთავაზებული ყველა აქტივობა, რესურსი ისე არის შემუშავებული, რომ არ შეილახოს მოსწავლის უფლებები და არ იყოს დისკრიმინაციული. ეს ინფორმაცია სკოლას განთავსებული აქვს სოციალურ ქსელში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სასკოლო სასწავლო გეგმა 2025-2026 ს. წ.;
- ბრძანება მოსწავლის ჩარიცხვის, სტატუსის შეჩერების შესახებ;
- სკოლის შინაგანაწესი;
- მშობელთა კრების ოქმიები;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები**

**4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი**

   სკოლას აქვს მოსწავლეთა გარემოსთან ადაპტაციის წესი (ბრძანება N2-65, 22/12/2025წ.), რომელიც მოიცავს შემდეგს: ადაპტაციის წესით სკოლა მიზნად ისახავს დაეხმაროს მოსწავლეს შეეგუოს სასწავლო პროცესსა და სასკოლო ცხოვრებას. დაამყაროს წარმატებული კომუნიკაცია სასკოლო საზოგადოებასთან და ჰქონდეს შესაძლებლობა, ჩაერთოს საგაკვეთილო პროცესში; წესი აგრეთვე მოიცავს მოსწავლის სასკოლო ცხოვრებაში ადაპტაციის პრინციპებს და მნიშვნელოვანი ფაქტორებს; პირველკლასელთა ადაპტაციას; სსსმ მოსწავლეთა ადაპტაციას; მობილობით გადმოსული მოსწავლის ადაპტაციას; მოსწავლეთა მიღება, სწავლის დაწყების პირველი დღეს; დეზადაპტაციის ნიშნებს; დეზადაპტაციის პროცესისას განსახორციელებელი ღონისძიებებს.

   **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან**

   სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ზრუნავს მოსწავლეთა ადაპტაციაზე სასწავლო გარემოსთან. პირველკლასელთათვის ეწყობა ღონისძიება, სკოლის დათვალიერება.

   კლასის დამრიგებლები აწვდიან ინფორმაციას დაგეგმილი აქტივობების შესახებ, ესაუბრება მათ უფლებებსა და მოვალეობებზე. სკოლაში ბავშვებისთვის ხელმისაწვდომია ნებისმიერი თავისუფალი სივრცე, სადაც მათ შეუძლიათ ინოვაციური იდეების, ინიციატივების შესახებ მსჯელობა, გაანალიზება, შემდეგ კი დაგეგმვა და რეალიზება.

   **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. **მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად**

   მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად. მასწავლებლები სკოლის მოსწავლეს აძლევენ განმავითარებელ შეფასებას, რის საშუალებითაც მოსწავლეს ეხმარება შედეგების გაუმჯობესებაში. საჭიროების შემთხვევაში მასწავლებლები ატარებენ ინდივიდუალურ შეხვედრებს მოსწავლეებთან. ექსტერნების შემთხვევაში ყველა საგამოცდო საგანში მოსწავლე უზრუნველყოფილია კონსულტაციის მიღების შესაძლებლობით, ანალოგიურია საშემოდგომო გამოცდების შემთხვევაში.

   **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით**

   საქმისმწარმოებელთან, დირექციასთან გასაუბრებით, Eflow სისტემის დათვალიერების შედეგად დგინდება, რომ მშობლის მიერ წარმოდგენილ განცხადებებზე (სხვა სკოლაში გადაყვანა, სკოლაში ჩარიცხვა, მოსწავლის ცნობის

მოთხოვნა, საგაკვეთილო პროცესიდან გაყვანა და სხვა) რეაგირება ხდება დადგენილ და განცხადებებში მოთხოვნილ ვადებში.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. **სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას**

   მოსწავლეთა თვითმმართველობა აქტიურად არის ჩართული სასკოლო აქტივობების დაგეგმვასა და განხორციელებაში. სკოლის ადმინისტრაციის მხარდაჭერით სკოლაში სხვდასხვა პროექტები ხორციელდება. მასწავლებელებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლის მე-10 კლასის მოსწავლეებმა, სამოქალაქო განათლების სწავლების ფარგლებში 10 დეკემბრის, ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო დღის აღსანიშნავად შექმნეს ბუკლეტები, რომლებიც სკოლაში გაავრცელეს. ასევე, მე-11 კლასის მოსწავლეებმა განახორციელეს პროექტი თემაზე „ხელოვნური ინტელექტი ყოველდღიურ ცხოვრებაში“, რომლის ფარგლებში პრეზენტაციები და დისკუსიები გამართეს მე-8, მე-9 და მე-10 კლასებთან.

   **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

6. **მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას**

   მოსწავლეთა ხმის მიღების ერთ-ერთი მექანიზმი სკოლის სამეურვეო საბჭოა. სამეურვეო საბჭოში მოსწავლეთა წარმომადგენელს შუძლია გააჟღეროს მოსწავლეთა ინიციატივები ან სკოლას შესთავაზოს აქტუალური პრობლემის გადაჭრის გზები.

   **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- მშობელსა და სკოლას შორის გაფორმებული ხელშეკრულება;
- მოსწავლეთა გარემოსთან ადაპტაციის წესი (ბრძანება N2-65, 22/12/2025წ.)

**4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის**

სკოლის დირექციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლა ზრუნავს პროფესიული ორიენტაციისა და კარიერული დაგეგმვის ხელშემწყობი აქტივობების განხორციელებაში. სკოლას შემუშავებული აქვს პროფესიული ორიენტაციის დაგეგმვისა და კონსულტირების გაწევის წესი. სადამრიგებლო პროგრამებში სწავლების სამივე საფეხურზე გათვალისწინებულია აქტივობები აღნიშნული მიმართულებით. სკოლას სტუმრობენ სხვადსხვა პროფესიის წარმომადგენლები და სკოლის საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეები პროფესიულ კოლეჯს „ლაკადას“, ენგურჰესს სტუმრობენ.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით**

სკოლის დირექცია, საფეხურის დამამთავრებელი კლასების მოსწავლეებს და მშობლებს სასწავლო წლის დასაწყისში ყოველწლიურად აწვდის ინფორმაციას პერსპექტივებისა და შესაძლებლობების შესახებ. დამრიგებლები ატარებენ საუბრებს მომავალი პროფესიების შესახებ და აწვდიან ინფორმაციას უნივერსიტეტებისა და პროფესიული სასწავლებლების შესახებ.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. **სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს**

სკოლის დირექციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლამ ყოველთვის იცის კურსდამთავრებულთა საქმიანობის, სწავლის გაგრძელების შესახებ ინფორმაცია. რის საფუძველზეც ხდება მოსწავლეებისათვის შესაბამისი, უფრო საინტერესო და აქტუალური ინფორმაციის მიწოდება. სკოლას აქვს გამოცდილება წარმატებული კურსდამთავრებულების სტუმრობის, რაც მომავალში უფრო ინტენსიური გახდება.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- პროფესიული ორიენტაციის დაგეგმვისა და კონსულტირების გაწევის წესი
- სადამრიგებლო პროგრამები;
- შეხვედრების მასალები;

**4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი**
   სკოლის მიერ შემუშავებული და დამტკიცებულია ინკლუზიური განათლების პროგრამა და დებულება (ბრძნება N2-60, 22/12/2025), რომელშიც გაწერილია სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი. არსებული მექანიზმი შედგება შემდეგი ნაწილებისაგან: სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე; ინდივიდუალური სასწავლო გეგმა; ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი ისგ ჯგუფი; სსსმ მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასება, დასწრება და გაცდენები; სსსმ მოსწავლეთა შინ სწავლება; სსსმ მოსწავლისათვის შესადგენი ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ნიმუში.
   **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს**
   სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს. სკოლის დირექციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ სსსმ მოსწავლეების განვითარების მხარდაჭერის პროცესში ჩართულია სასკოლო საზოგადოება.
   2025-2026 სასწავლო წელს სკოლაში არის 7 სსსმ მოსწავლე (III, V, VI, VII, VIII და IX კლასებში) 2 სპეციალური მასწავლებელი. დირექციასთან გასაუბრებით დგინდება რომ 2022 წლის ოქტომბრის შემდეგ ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით ისგ ჯგუფი არ შექმნილა. ასევე სკოლაში არ არის ისგ-ის მონიტორინგის ჯგუფი. თუმცა სპეც მასწავლელებმა წარმოადგინეს სსსმ მოსწავლეებისათვის შექმნილი ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, რესურსოთახში მოსწავლეებთან მუშაობის განრიგი.

ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნის გაცნობის შედეგად სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და დანართები. დანართებში წარმოდგენილი იყო ბრძანებები (N2-13, N2-14, N2-15, N2-16, N2-17, N2-18, N2-19) 7 ისგ ჯგუფის შექმნის შესახებ. შესაბამისად აღნიშნული საკითხი მოვიდა შესაბამისობაში კანონმდებლობასთან.
**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- ინკლუზიური განათლების პროგრამა და დებულება (ბრძნება N2-60, 22/12/2025)
- ისგ-ს ჯგუფის შეხვედრის ოქმი;
- სასწავლო სასკოლო გეგმა 2025-2026 ს.წ.
- სამეურვეო და პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმები;
- ისგ.

**4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით.** ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**
   სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე. მომსახურებას სკოლა არ სთავაზობს მოსწავლეებს.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას**
   სკოლის დირექციასთან გასაუბრებით დგინდება სკოლის მიერ ამ ეტაპზე არ არის შეთავაზებული დამატებითი არასავალდებულო ხასიათის მომსახურება, თუმცა ასეთის არსებობის შემთხვევაში გააზრებული აქვთ, რომ მომსახურება იქნება ნებაყოფლობითი.
   **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. **შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს**
   ამ ეტაპზე სკოლა დამატებით მომსახურებას არ სთავაზობს მოსწავლეებს, თუმცა დირექციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ მათ გააზრებული აქვთ უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვის აუცილებლობა და მოსწავლის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინების მნიშვნელობა.
   **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

# ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

## I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

**ცხრილი ივსება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე**

| სტანდარტი 2 | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|
| **სასკოლო კურიკულუმი**<br>(ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა) | ☒ **შეესაბამება**<br>☐ **მეტწილად შეესაბამება**<br>☐ **ნაწილობრივ შეესაბამება**<br>☐ **არ შეესაბამება** |
| **კომპონენტი 2.1**<br>კურიკულუმის შემუშავება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.2**<br>კურიკულუმის განხორციელება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.3**<br>კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.4**<br>კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

| სტანდარტი 2 | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|
| **სასკოლო კურიკულუმი**<br>(ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა) | **☒ შეესაბამება**<br>**☐ მეტწილად შეესაბამება**<br>**☐ ნაწილობრივ შეესაბამება**<br>**☐ არ შეესაბამება** |
| **კომპონენტი 2.1**<br>კურიკულუმის შემუშავება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.2**<br>კურიკულუმის განხორციელება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.3**<br>კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.4**<br>კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

| სტანდარტი 2 | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|
| **სასკოლო კურიკულუმი**<br>(ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა) | **☒ შეესაბამება**<br>**☐ მეტწილად შეესაბამება**<br>**☐ ნაწილობრივ შეესაბამება** |

| | **☐ არ შეესაბამება** |
|---|---|
| **კომპონენტი 2.1**<br>კურიკულუმის შემუშავება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.2**<br>კურიკულუმის განხორციელება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.3**<br>კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.4**<br>კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

## II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

*ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის იწერება გაერთიანებული სახით. ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის იდენტიფიცირება ხდება, მაშინ როდესაც იწერება ხარვეზი/რეკომენდაცია/რჩევა.*

### 2. სასკოლო კურიკულუმი
### 2.1. კურიკულუმის შემუშავება
### 2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას**

სკოლას შემუშავებული აქვს კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია (დანართი N73), რომელიც დეტალურად ასახავს კურიკულუმის არსს, მიზნებსა და დანიშნულებას, სხვადასხვა დონის რეგულაციებსა და მოთხოვნებს, პროცესებზე პასუხისმგებელ პირებს, პროცესში ჩართულ მხარეებს, თანამშრომლობით და მონაწილეობით მიდგომებს, ასევე კურიკულუმის კავშირს სხვა შიდა პროცესებთან. დოკუმენტში ხაზგასმულია, რომ კურიკულუმის წარმატებული დანერგვა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც მის შემუშავებაში ჩართულია მთელი სასკოლო საზოგადოება: მასწავლებლები, დირექცია, მშობლები და საჭიროების შემთხვევაში — მოსწავლეები. მეთოდოლოგიაში ნათლად არის გაწერილი „თანამონაწილეობითი მიდგომის" პრინციპი, პასუხისმგებელი სტრუქტურების ჩამონათვალი და კურიკულუმის შეთანხმებისა და კორექციის პროცედურები. ეს ყველაფერი ქმნის მყარ საფუძველს, რომ კურიკულუმი არ არის მხოლოდ ადმინისტრაციის მიერ შემუშავებული დოკუმენტი, არამედ წარმოადგენს სასკოლო საზოგადოების შეთანხმებულ ხედვას.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები**

სასკოლო საზოგადოების ინტერესები კურიკულუმში აისახება როგორც ზოგადი პრინციპების დონეზე, ისე პრაქტიკულ დონეზე. საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი (დანართი N32) განსაზღვრავს დაინტერესებული მხარეებისგან მიღებული უკუკავშირის ანალიზს, რაც უზრუნველყოფს კურიკულუმის შინაარსში საზოგადოების აზრებისა და საჭიროებების ასახვას. თემატური და საგნობრივი ინტერესები წარმოდგენილია საგნობრივი კათედრების მიერ შემუშავებულ

კურიკულუმის ნიმუშებში (დანართი N74), სადაც თითოეული კათედრა თავად ქმნის თემატურ გეგმებს, სტრატეგიებსა და რესურსებს, რომლებიც ინტეგრირდება საერთო სასკოლო კურიკულუმში. მოსწავლეთა ინტერესები წარმოდგენილია მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულებაში (დანართი N14) და თვითმმართველობის სხდომების ოქმებში (დანართი N13), სადაც ჩანს მათი მონაწილეობა სკოლის ცხოვრებაში, გადაწყვეტილებების მიღებაში და ინიციატივების გატანაში. მშობლების ინტერესები ასახულია სამეურვეო საბჭოს დოკუმენტაციაში (დანართი N7, N29), სადაც ისინი მონაწილეობენ სასწავლო გეგმის დამტკიცებისა და სკოლის განვითარების საკითხებში. ეს ყველაფერი მიუთითებს, რომ სასკოლო კურიკულუმი მორგებულია სკოლის საზოგადოების მრავალფეროვან საჭიროებებსა და ინტერესებზე.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. **კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

სკოლის დოკუმენტაცია ცხადყოფს, რომ კურიკულუმის შექმნა არის მრავალსუბიექტიანი, თანამშრომლობაზე დაფუძნებული პროცესი. პედაგოგიური საბჭო (დანართი N12) განიხილავს და ამტკიცებს სასწავლო გეგმებს, განსაზღვრავს სწავლების მეთოდებს და ადგენს წლიურ პრიორიტეტებს. სამეურვეო საბჭო (დანართი N7, N29) ამტკიცებს სასკოლო გეგმებს, მონაწილეობს რესურსების განაწილებაში და წარმოადგენს მშობელთა ინტერესებს. მრჩეველთა საბჭო (დანართი N3, N4) განიხილავს სკოლის ძირითად მიმართულებებს, უსაფრთხოების საკითხებსა და სწავლების პროცესთან დაკავშირებულ საკითხებს, აძლევს რეკომენდაციებს დირექტორს. საგნობრივი კათედრები ქმნიან თემატურ გეგმებსა და სტრატეგიებს, რაც კურიკულუმის შინაარსობრივ საფუძველს წარმოადგენს (დანართი N74). მოსწავლეთა თვითმმართველობა (დანართი N14, N13) მონაწილეობს სასკოლო აქტივობების დაგეგმვასა და საჭიროებების გაგებაში. აღნიშნული მტკიცებულებები ადასტურებს, რომ კურიკულუმი იქმნება სკოლის მრავალსტრუქტურული თანამშრომლობის შედეგად, რაც სრულად შეესაბამება ინკლუზიური, დემოკრატიული და კოლეგიური პროცესის მოთხოვნებს.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. **კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

კურიკულუმის საჯაროობა და გაზიარება უზრუნველყოფილია მრავალარხიანი კომუნიკაციის სისტემით. საზოგადოებასთან ურთიერთობის წესი (დანართი N32) განსაზღვრავს ინფორმაციის გავრცელების ფორმებს, შეხვედრების ორგანიზებას, კომუნიკაციას მედიისა და ვებგვერდის საშუალებით. პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე რეგულარულად განიხილება კურიკულუმის შექმნისა და დახვეწის პროცესი (დანართი N12). დამრიგებლების ოქმები (დანართი N28) ადასტურებს, რომ მშობლებს ეცნობებათ სასწავლო გეგმები, მიმდინარე ცვლილებები და სასწავლო პროცესთან დაკავშირებული საკითხები. სამეურვეო და მრჩეველთა საბჭოების სხდომებზე (დანართი N3, N4, N7, N29) განხილულია კურიკულუმთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი საკითხები და გადაწყვეტილებები. შედეგად, კურიკულუმი არის ფართოდ გაზიარებული დოკუმენტი,

რომელიც ყველა ჯგუფისთვის ხელმისაწვდომია და მისი შინაარსი გამოირჩევა გამჭვირვალობითა და თანასწორობის პრინციპებით.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

დანართი N73 კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია

დანართი N32 საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი

დანართი N74 დაწყებითების კათედრის კურიკულუმის ნიმუში

დანართი N32 საზოგადოებასთან ურთიერთ

დანართი N12. პედაგოგიური საბჭოს ოქმი

დანართი N28 დამრიგებლის ოქმი

დანართი N4 მრჩეველთ საბჭოს ოქმი

დანართი N7 სამეურვეო საბჭოს ოქმი

დანართი N29 სამეურვეო საბჭოს ოქმი

დანართი N14. მოსწავლეთა თვითმართველობის დებულება

დანართი N13. საშუალო საფეხურის მოსწავლეთა თვითმმართველობის სხდომის

### 2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | სკოლის მიერ მოწოდებულ მასალებში ჩანს, რომ სამივე საფეხურზე მასწავლებლების მიერ შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. მასწავლებლებს კურიკულუმის შემუშავების პროცესში შერჩეული აქვთ კურიკულუმის ჩარჩოს ფორმა, სადაც ნათლად ჩანს თემა, სამიზნე ცნება/ქვეცნებები, საკითხი/ქვესაკითხები და მათ მიერ გათვალისწინებული შემოქმედებითი დავალებები, სულ მცირე იდეის დონეზე მაინც ,რითაც გეგმავენ შუალედური მიზნის მიღწევას და მის განსახორციელებლად საჭირო რესურსები. წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარჩოებში ყველა სტრუქტურული ერთეული სწორადაა განსაზღვრული.<br>**რჩევა:** სასურველია დაიცვათ თქვენს მიერ შემუშავებული და ბრანებით დამტკიცებული კურიკულუმის ჩარჩოს ფორმის მთლიანობა და ყველა მასწავლებელმა ჩარჩოში გაითვალისწინოთ სავარაუდო საათების რაოდენობა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | კათედრაზე შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და წარმართვის გზას. კერძოდ, კურიკულუმში წარმოდგენილ კომპლექსურ დავალებებში გათვალისწინებულია თითოეული მოსწავლის საჭიროებები, ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეები. პედაგოგებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მომავალ სასწავლო წელს იგეგმება კომპლექსური დავალებების კიდევ უფრო მეტად ადაპტირება და მორგება მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებზე.კურიკულუმებში წარმოდგენილია შუალედური სასწავლო მიზნები კომპლექსური დავალებების სახით, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში საჭიროა დავალებათა რაოდენობის ოპტიმიზაცია და პირობების დაზუსტება.<br>**რჩევა:** სასურველია ***დაწყებითი საფეხურის*** V კლასის „ჩვენი საქართველოს“ კურიკულუმის დოკუმენტში სამიზნე ცნებებისა და თემების განლაგების ტექნიკური დაზუსტება (შესაბამის გრაფებში მოქცევა), რათა დოკუმენტი იყოს უფრო სტრუქტურირებული და მკაფიო. ***საბაზო საფეხურის*** (VII, VIII კლასი - გეოგრაფია, ისტორია, მოქალაქეობა) შუალედური დავალებების რაოდენობის გადახედვა და მათი შესაბამისობაში მოყვანა სავალდებულო შემაჯამებლების რაოდენობასთან (მაგალითად, VII კლასის გეოგრაფიაში დავალებათა სიმცირეა, ხოლო მოქალაქეობაში სიჭარბე). საბაზო საფეხური (VIII კლასი, გეოგრაფია) დავალებებში ნათლად უნდა ჩამოყალიბდეს დავალების პირობა (რა უნდა შექმნას მოსწავლემ), ნაცვლად მხოლოდ |

| | |
|---|---|
| | კითხვების ჩამონათვალისა. საბაზო საფეხურის (VII კლასი, გეოგრაფია) სასურველია ცხრილის ყველა გრაფის სრულფასოვნად შევსება, მათ შორის კონტექსტ-მაგალითების ნაწილში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |
| უცხოური ენები | უცხოური ენების კათედრამ სამივე საფეხურზე წარმოადგინა ყველა კლასის კურიკულუმის ჩარჩო გაწერილი მთელ სასწავლო წელზე თემების მიხედვით. კურიკულუმის ანალიზისა და ინტერვიუს საფუძველზე ჩანს, რომ კათედრას აქვს ხედვა თუ როგორ დაგეგმოს, განახორციელოს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესი და აჩვენოს მოსწავლეთა განვითარების გზა. კურიკულუმი უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ლოგიკურ და თანმიმდევრულ დაგეგმვას, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა ეტაპობრივ განვითარებასა და ენობრივი კომპეტენციების გაღრმავებას. გათვალისწინებულია აქტიური სწავლების მეთოდების გამოყენება, რაც ზრდის მოსწავლეთა ჩართულობას და ხელს უწყობს მათი დამოუკიდებელი და კრიტიკული აზროვნების განვითარებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |
| ესთეტიკური აღზრდა | ესთეტიკური აღზრდის მიმართულების საგნებში, სამივე საფეხურზე წარმოდგენილი ყველა კლასის კურიკულუმის განხილვისა და ინტერვიუს შედეგიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას; სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმის ცხრილებში მოცემულია სავალდებულო თემები, გრძელვადიანი მიზნები (ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტის შესაბამისად). შუალედური მიზნების სახით წარმოდგენილია შემოქმედებითი დავალებები (დავალების იდეა), რომელთა შერჩევა მოხდა კათედრაზე მოსწავლეთა ინტერესების და საჭიროებების გათვალისწინებით. შერჩეული დავალებები იძლევა სასწავლო პროცესში მოსწავლის აქტიურად ჩართვის, ფუნქციური უნარების განვითარების საშუალებას, რაც ხელს უწყობს მოსწავლის პიროვნულ ზრდას.<br>**რჩევა:** სასურველია საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოებში მკაფიოდ იყოს გამოკვეთილი ესგ-თი გათვალისწინებული სავალდებულო თემატური ბლოკები, როგორც დაწყებით, ასევე საბაზო საფეხურზე. ხოლო მუსიკის, იმ კლასების საგნობრივ კურიკულუმში, რომელშიც არაა შეტანილი, დაემატოს შემოქმედებითი დავალების იდეის კომპონენტი. ეს სტრუქტურული |

| | |
|---|---|
| | ცვლილება უზრუნველყოფს კურიკულუმის სრულ სიცხადეს, სტანდარტთან შესაბამისობას და მასწავლებელს გაუადვილებს სწავლა-სწავლების პროცესის ეფექტურად დაგეგმვას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |
| სახელმწიფო ენა | შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განვითარების საფუძველს. იგი მოიცავს თემატურ ერთეულებს, სასწავლო აქტივობებს, შეფასების ფორმებსა და შესაბამის რესურსებს, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურებზე. კურიკულუმში გამოყენებულია სხვადასხვა ტიპის აქტივობები და მიდგომები, რომლებიც გარკვეულად ითვალისწინებს მოსწავლეთა ჩართულობასა და აქტიურ მონაწილეობას სწავლების პროცესში. ამასთან, კურიკულუმი დაკავშირებულია სკოლაში არსებულ სხვა მარეგულირებელ და მხარდამჭერ დოკუმენტებთან, როგორიცაა სასწავლო გეგმა, შეფასების სქემები და რუბრიკები, ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა, ვერიფიკაციის დებულება, პედაგოგიური საბჭოსა და კათედრის ოქმები. აღნიშნული დოკუმენტები ქმნის ერთიან ჩარჩოს, რომლებიც ხელს უწყობს სასწავლო პროცესის დაგეგმვას, განხორციელებასა და გარკვეულ დონეზე მონიტორინგს.<br>საერთო ჯამში, კურიკულუმი იძლევა შესაძლებლობას, რომ სასწავლო პროცესი ეტაპობრივად დაიგეგმოს და განხორციელდეს ყველა საფეხურზე და უზრუნველყოს მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომების გამოყენება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |
| მათემატიკა | მათემატიკის ყველა საფეხურის კურუკულუმი ორიენტირებულია სასწავლო პროცესის სწორად და შემოქმედებით დაგეგმვაზე, მათი განხორციელეის შედეგად უზრუნველყოფილი იქნება მოსწავლეთა გონებრივი განვითარების საკმაოდ მაღალი დონე.<br>**რჩევა**: სასურველია ყველა საფეხურის მათემატიკის კურიკულუმებში მოსწავლეებისთვის უფრო მკაფიოდ და ცხადად იყოს გაწერილი ცნებები, თემები, საკითხები/საკითხთა კლასტერი, ყველა კონტექსტ-მაგალითი, პროექტი თუ კომპლექსური დავალების იდეა/პირობა შუალედური მიზანი, გამოკვეთილი იქნება მათი განხორციელებისთვის საჭირო ყველა აუცილებებლი დანართი, ვიდეო, აუდიო, ციფრული თუ ელექტრული მასალა, სიმულაციები, ნახატები, ნახაზები, განმსაზღვრელი ან/და განმავითარებელი შეფასებები და სხვ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |

| | |
|---|---|
| სპორტი | მასწავლებლების მიერ შემუშავებული კურიკულუმები სრულად ასახავს მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების მიდგომას და წარმოადგენს სასწავლო პროცესის მიზანმიმართულად დაგეგმვისა და განვითარების ეფექტურ გზას. კურიკულუმების დაგეგმვისას კათედრის წევრები სისტემატურად ეყრდნობიან წინა წლის შედეგების ანალიზს, ასევე ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინტერესებს, საჭიროებებსა და შესაძლებლობებს, რაც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს მათ აქტიურ ჩართულობას სასწავლო პროცესში. დავალებების შერჩევაც მიზანმიმართულად არის მორგებული თითოეული მოსწავლის ინტერესზე, რაც განაპირობებს მათი სწავლის ხარისხისა და მოტივაციის ზრდას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |
| ტექნოლოგიები | საგან ტექნოლოგიებში წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩო, შეესაბამება მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს. წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩო ასახავს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | *ივსება მხოლოდ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დაწყებითი საფეხურისთვის* კურიკულუმები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ, რომელიც ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებსა და სკოლის მისიას. გათვალისწინებულია დაწყებითი კლასების მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები, მათი საჭიროებები და ინტერესები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |

**2. კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს**

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | შემუშავებული საგნობრივი კურიკულუმები ორიენტირებულია მოსწავლეებში ფუნქციურ-კომპონენტური უნარების განვითარებაზე. ამ უნარების ჩამოყალიბება ხდება, როგორც საგაკვეთილო პროცესში, ასევე მოსწავლეების პროექტული მუშაობის დროსაც. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |

| | |
|---|---|
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | შემუშავებული საგნობრივი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. კურიკულუმის ჩარჩოებში ძირითადად ასახულია სავალდებულო თემები, საკითხები/კლასტერები, სადაც დაგეგმილია კომპლექსური დავალება, განსაზღვრულია კონტექსტ მაგალითები და კომპლექსური დავალების იდეები, რაც ემსახურება კონკრეტული საკითხის კონტექსტში სამიზნე ცნებების გააზრებას. წარმოდგენილი კურიკულუმები შინაარსობრივად ეფუძნება ეროვნულ სასწავლო გეგმას. თუმცა, გარკვეულ შემთხვევებში საჭიროა ტექნიკური დაზუსტება სტანდარტთან სრული თავსებადობისთვის.<br>**რჩევა:** სასურველია დაწყებითი საფეხურის (V კლასი, „ჩვენი საქართველო“) კურიკულუმის ცხრილში ცნებები დალაგდეს შესაბამის გრაფებში (თემა/სამიზნე ცნებები), რათა სტრუქტურა იყოს მკაფიო. საბაზო საფეხურზე (VII კლასი, ისტორია და მოქალაქეობა) სამიზნე ცნებები გადამოწმდეს და შესაბამისობაში მოვიდეს მოქმედ სტანდარტთან. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |
| უცხოური ენები | სამივე საფეხურის კურიკულუმი (პირველ და მეორე უცხოურ ენებში) მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საგნის სტანდარტის მოთხოვნებს. კურიკულუმში გათვალისწინებულია ენობრივი კომპეტენციების განვითარება და მოსწავლეთა უნარებზე ორიენტირებული სწავლების ელემენტები. სასწავლო პროცესი იგეგმება სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად თემატური ბლოკების ფარგლებში, სადაც მუშავდება საფეხურის შედეგი, გრძელვადიანი სამიზნე ცნებები და მასთან დაკავშირებული ქვეცნებები. კომპლექსური ტიპის დავალებების დამუშავება შესაძლებლობას მისცემს მოსწავლეს განუვითარდეს ფუნქციურ-კომპონენტური უნარები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |
| ესთეტიკური აღზრდა | ესთეტიკური აღზრდის მიმართულებით წარმოდგენილი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. კურიკულუმებში ჩაშენებული შემოქმედებითი დავალებებიდან ჩანს, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე. სამივე საფეხურის კურიკულუმებში იკითხება, რომ დაგეგმილი პროცესები ხელს შეუწყობს მოსწავლის წინარე ცოდნის გააქტიურებასა და ახალ ცოდნამდე მიყვანის პროცესს. კურიკულუმის ჩარჩოები აგებულია იმ თემების გათვალისწინებით, რომლებიც ნაცნობი კონტექსტია მოსწავლისთვის, ეს დაეხმარება მას |

| | |
|---|---|
| | ახალი ინფორმაციის წინარე ცოდნასთან დაკავშირებაში, დამუშავებასა და გააზრებაში. შერჩეული შემოქმედებითი დავალებები შესაძლებლობისდაგვარად გათვლილია ისეთი გლობალურ-ფუნქციური უნარების განვითარებაზე, როგორებიცაა: კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, თანამშრომლობა, კომუნიკაცია და სხვა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |
| სახელმწიფო ენა | კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს და ასახავს მის ძირითად მოთხოვნებს. დოკუმენტში წარმოდგენილია თემატური ერთეულები, სამიზნე ცნებები და შედეგებთან დაკავშირებული აქტივობები, რაც უზრუნველყოფს სწავლების შინაარსის შესაბამისობას ეროვნული სტანდარტების მიმართ. თითოეული თემისა და ქვეთემის ფარგლებში განსაზღვრულია სასწავლო მიზნები, აქტივობები და რესურსები, რაც ხელს უწყობს სასწავლო შედეგების ეტაპობრივ მიღწევას.<br>კურიკულუმში მკაფიოდ იკვეთება კავშირი ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ შედეგებთან, რაც გამოიხატება შედეგებზე ორიენტირებული დაგეგმვით, შესაბამისი აქტივობებისა და დავალებების შერჩევით, ასევე შეფასების სქემებისა და რუბრიკების გამოყენებით. აღნიშნული კავშირი გამყარებულია სასწავლო გეგმით, შეფასების სისტემითა და სხვა მარეგულირებელი დოკუმენტებით, რაც უზრუნველყოფს სწავლა-სწავლების პროცესის თანმიმდევრულობასა და მიზნობრიობას ყველა საფეხურზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |
| მათემატიკა | მათემატიკის ყველა საფეხურის საგნობრივი კურიკულუმი მიმართულია და პასუხობს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს.<br>***რჩევა:*** სასურველია ყველა საფეხურის მათემატიკის კურიკულუმებში გაწერილი ძირითადი კონტექსტ-მაგალითები, დავალების იდეა/პირობა შუალედური მიზანი, კომპლექსური დავალებები მათი შინაარსიდან გამომდინარე რაც შეიძლება თანაბრად იყოს განაწილებული დროში, ანუ დავალებათა შორის დროითი შუალედები იყოს დაახლოებით ერთნაირი. მეთოდური თვალსაზრისით გაუმართლებელია, რომ დავალებათა უმრავლესობა, რომლის განხილვასაც მასწავლებელი აპირებს ერთი სასწავლო წლის განმავლობაში დაგეგმილი იყოს ერთ სემესტრში. კურიკულუმები თითქმის არ შეიცავს კვლევითი პროექტების განხორციელებას სასწავლო პროცესში. საჭიროა კვლევითი პროექტების ჩართვა არა მარტო |

| | |
|---|---|
| | მათემატიკის, არამედ სხვა სასწავლო საგნების სწავლა/სწავლების პროცესში. მიზანშეწონილია ინტერდისციპლინური (მათემატიკის და ბუნებისმეტყველების, მათემატიკის და მუსიკის, მათემატიკის და ხელოვნების, მათემატიკის და პოეზიის, მათემატიკის და მხატვრობის და სხვ.) საგნობრივი პროექტების ჩართვა რაც მოსწავლეებში ამაღლებს სასწავლო საგნების შესწავლის მოტივაციას, აყალიბებს სწავლისადმი სწორ დამოკიდებულებას, რომ ცოდნის მისაღებად საჭიროა არა მხოლოდ ერთი რომელიმე საგნის განხოლოებულად შესწავლა, არამედ ცოდნის კომპლექსურად მიღება, განამტკიცებს საკუთარი თავის რწმენას და ეხმარება რეალური ცხოვრებაში წამოჭრილი პრობლემების გადაწყვეტაში, მოსწავლეებში აყალიბებს მკვლევარის თვისებებს, უყალიბებს კვლევით უნარებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |
| სპორტი | ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კურიკულუმები სრულ შესაბამისობაშია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებთან და მიმართულია გრძელვადიანი შედეგების მიღწევისკენ. თითოეული თემის ფარგლებში მუშავდება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული სამიზნე ცნებები და მასთან დაკავშირებული ქვეცნებები, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის თანმიმდევრულობას. კურიკულუმები გამოირჩევა მრავალფეროვანი აქტივობებით და შუალედური დავალებებით, რომლებიც მოიცავს როგორც საკლასო, ისე სასკოლო აქტივობებს - სპორტული ფესტივალის ორგანიზებას შესწავლილი მასალის წარმოსაჩენად, პროექტებისა და პოსტერების მომზადებასა და პრეზენტაციას ჯანსაღი ცხოვრების წესისა და ოლიმპიზმის თემატიკით, ასევე სხვადასხვა ფიზიკური აქტივობის პრაქტიკულ შესრულებასა და გაანალიზებას. აღნიშნული მიდგომები ხელს უწყობს მოსწავლეთა ცოდნის ეფექტურად გამოყენებას და უზრუნველყოფს გლობალური ფუნქციური უნარების განვითარებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |
| ტექნოლოგიები | საგან ტექნოლოგიებში წარმოდგენილი კურიკულუმები ეფუძნება ეროვნულ სასწავლო გეგმას და მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებისაკენ. შემოქმედებითი პროდუქტებში ჩანს მოსწავლეების შემოქმედებითი თუ სხვა უნარების განვითარების გზები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | *ივსება მხოლოდ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დაწყებითი საფეხურისთვის* |

| | |
|---|---|
| | კურიკულუმები შემუშავებულია ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით. მიემართება გრძელვადიან მიზნებს; სტანდარტით გათვალისწინებული თემების ფარგლებში მუშავდება შუალედური მიზნები. **რჩევა:** სასურველია, კათედრამ კურიკულუმისთვის შეიმუშაოს ერთიანი ჩარჩო, რომელშიც მკაფიოდ იქნება წარმოჩენილი თითოეული სვეტის დანიშნულება; სწორად აისახოს ესგ-ს შესაბამისად გაწერილი სავალდებულო თემები, სტანდარტის შედეგები და დავალების იდეა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |

3. **კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას**

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივ კურიკულუმებში მითითებულია რესურსები, როგორც მატერიალური ისე ელექტრონული ( ვირტუალური ლაბორატორია; ტელესკოლის გაკვეთილები, PPT პრეზენტაციები, www.youtube.com-ს ვიდეორგოლები....) , რომლებიც უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. მიუხედავად იმისა , რომ სკოლას არ აქვს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მატერიალური რესურსის პარამეტრების თაობაზე რეკომენდაციების დამტკიცების შესახებ" სსიპ - განთლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 09 აგვისტოს N672 ბრძანების შესაბამისი საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, აქვს ლაბორატორიისთვის განკუთვნილი კაბინეტი, რომელიც არ აკმაყოფილების სტანდარტის მოთხოვნებს, კერძოდ, ოთახის ფართი, ასევე არ არის გამწოვი კარადა, წყალი, რაც შეუძლებელს ხდის ცდების ჩატარებას. აქვთ ფიზიკისა და ბიოლოგიის თვალსაჩინოებების გარკვეული რაოდენობა, მაგრამ არასაკმარისი და ფართის სიმცირის გამო მასწავლებლებს უწევთ არსებული რესურსის ტარება საკლასო ოთახებში . |

| | |
|---|---|
| | **რჩევა:** სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის საფუძველზე სკოლას მიეცეს **რეკომენდაცია** საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის მოწყობა და რესურსებით უზრუნველყოფა მოახდინოს 2027 წლის სექტემბრამდე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები მოიცავს როგორც გრიფირებულ სასწავლო სახელმძღვანელოებს, ისე მრავალფეროვან დამატებით საგანმანათლებლო რესურსებს, მათ შორის ინტერნეტ პლატფორმებსა და საგანმანათლებლო ვიდეომასალებს. აღნიშნული რესურსები გამოყენებულია სასწავლო პროცესში და ხელს უწყობს კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. ინტერვიუებისა და წარმოდგენილი მასალების საფუძველზე იკვეთება, რომ მასწავლებლები მიმართავენ სხვადასხვა ტიპის რესურსს და ცდილობენ მათი ადაპტირებას მოსწავლეთა საჭიროებებზე. რესურსების უფრო მეტად მრავალფეროვანი და სისტემური გამოყენება სამივე საფეხურზე კიდევ უფრო გააუმჯობესებს სასწავლო პროცესის ეფექტიანობას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |
| უცხოური ენები | უცხოური ენების საგნობრივ კურიკულუმში წარმოდგენილია მრავალფეროვანი, ასაკისა და ენის ფლობის დონის შესაბამისი რესურსები (გრიფირებული სახელმძღვანელოები, ინტერნეტ რესურსები, ელექტრონული ბმულები), რაც უზრუნველყოფს კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. კათედრამ წარმოადგინა მასწავლებლების მიერ შექმნილი ელექტრონული რესურსები, სადაც იკვეთება მიზნობრიობა და აქტუალურობა. მასალა ორიენტირებულია კონკრეტული სასწავლო მიზნებისა და შედეგების მიღწევაზე. რესურსი არის განახლებადი და მორგებული მიმდინარე საკითხებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |
| ესთეტიკური აღზრდა | სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების სამივე საფეხურის კურიკულუმებში წარმოდგენილია როგორც ძირითადი რესურსები (გრიფირებული სახელმძღვანელოები), ასევე მრავალფეროვანი ელექტრონული რესურსი, რომელიც წარმოდგენილია ჰიპერლინკების სახით. კათედრა თავადაც ქმნის საგანმანათლებლო რესურსებს და ეფექტურად იყენებს სასწავლო პროცესში. რესურსების მრავალფეროვნება უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. |

| | |
|---|---|
| | **რჩევა:** სასურველია მუსიკის დაწყებით/საბაზო საფეხურის ყველა კლასის საგნობრივ კურიკულუმში შეტანილ იქნას, როგორც ძირითადი, ასევე დამატებითი რესურსები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |
| სახელმწიფო ენა | კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსები, ქმნის საფუძველს მოსწავლის მიერ დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევისათვის. დოკუმენტში წარმოდგენილია როგორც ძირითადი, ისე დამხმარე რესურსები (სახელმძღვანელოები, დამატებითი მასალები, ელექტრონული რესურსები), რომლებიც შეესაბამება თემატურ ერთეულებსა და სასწავლო მიზნებს.<br>რესურსების შერჩევა დაკავშირებულია დაგეგმილ აქტივობებთან და შეფასების ფორმებთან, რაც ხელს უწყობს სასწავლო პროცესის ორგანიზებასა და მოსწავლეთა ჩართულობას. ასევე გამოყენებულია მრავალფეროვანი საგანმანათლებლო მასალა, რაც შესაძლებლობას აძლევს მოსწავლეებს იმუშაონ სხვადასხვა ტიპის დავალებაზე და ეტაპობრივად მიაღწიონ განსაზღვრულ შედეგებს.<br>აღნიშნული რესურსები დაკავშირებულია სასწავლო გეგმასთან, შეფასების სქემებთან და სხვა მხარდამჭერ დოკუმენტებთან, რაც უზრუნველყოფს მათი გამოყენების თანმიმდევრულობასა და სასწავლო პროცესის ეფექტიან წარმართვას ყველა საფეხურზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |
| მათემატიკა | მათემატიკის ყველა საფეხურის კურიკულუმები შეიცავს საკმარისი რაოდენობის რესურსებს, როგორც ნაბეჭდ, ისე ელექრტული სახით. საგანმანათლებლო რესურსები უზრუნველყოფს მოსწავლეთა მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |
| სპორტი | კურიკულუმებში ყველა თემასთან მიმართებით მასწავლებლებს გაწერილი აქვთ მრავალფეროვანი ელექტრონული რესურსები ლინკების სახით: სახელმძღვანელოები (ლ.კიკალიშვილის ავტორობით), გზამკვლევები (I-VI და VII-XII კლასებისთვის), პრეზენტაციები, სხვადასხვა ვარჯიშის ვიდეოინსტრუქციები. შერჩეული რესურსები მორგებულია სასწავლო მიზნებზე, ხელს უწყობს მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას და უზრუნველყოფს დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევას. ამასთანავე, რესურსები სრულად შეესაბამება ასაკობრივი ჯგუფის თავისებურებებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |

| | |
|---|---|
| ტექნოლოგიები | კურიკულუმებით გათვალისწინებული რესურსები უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ სწავლის შედეგების მიღწევას.<br>**რჩევა:** სასურველია საგაკვეთილო პროცესში გამოყენებული ყველაა დამხმარე რესურსის ასახვა მოხდეს კურიკულუმში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | *ივსება მხოლოდ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დაწყებითი საფეხურისთვის*<br>კურიკულუმებში ასახულია როგორც ძირითადი (გრიფირებული სახელმძღვანელო), ასევე-დამატებითი რესურსები, ინტერნეტ-პლატფმორმები, რომელთა გამოყენებითაც მოსწავლე ეცნობა სასწავლო საკითხს და შეუძლია მოამზადოს შემოქმედებითი პროდუქტი. რესურსები უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.<br>**რჩევა:** სასურველია, სამომავლოდ, უფრო მეტი მატერიალური და ელექტრონული რესურსით გამდიდრდეს კურიკულუმები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |

## 4. სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | მასწავლებლებს გააზრებული აქვთ, ის რომ სწავლების დიფერენცირებული მიდგომა და ზოგადად სასწავლო პროცესის ინკლუზიური ხედვა სასკოლო სივრცეში გულისხმობს პოზიტიური სასკოლო კულტურის ჩამოყალიბებას. სასწავლო პროცესში ისინი შეძლებისდაგვარად ითვალისწინებენ დიფერენცირებულ მიდგომას ყველა მოსწავლესთან. თვლიან, რომ თითოეული მოსწავლე განსხვავებულია თავისი უნარ-ჩვევებით, გამოცდილებით, მიმდინარე ცოდნით, საჭიროებებით, სწავლის სტილით, მოტივაციითა და პირადი ინტერესებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | დიფერენცირებული/ინკლუზიური მიდგომა აისახება კომპლექსური დავალების პირობასა და საეტაპო აქტივობებში. ეს მიდგომა ასახულია წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმში. პედაგოგებთან ინტერვიურებისას დადგინდა, რომ მოსწავლეების საჭიროებიდან გამომდინარე ხდება დიფერენცირების გათვალისწინება. ასევე, სამომავლოდ, სსსმ მოსწავლეთათვის განახორციელებენ კომპლექსური დავალებების ადაპტირებას და ამით |

| | |
|---|---|
| | შეინარჩუნებენ ინკლუზიურ სასწავლო პროცესს. მნიშვნელოვანია გათვალისწინებული იქნეს მოსწავლეთა ინტერესები და კომპლექსური დავალებებიც იძლეოდეს არჩევანის საშუალებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |
| უცხოური ენები | სამივე საფეხურის უცხოური ენების კურიკულუმში წარმოდგენილია მრავალფეროვანი, მოსწავლეზე ორიენტირებული დავალებები, რაც მათ საგაკვეთილო პროცესში მაქსიმალურ ჩართულობასა და ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირებას შეუწყობს ხელს. ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ საჭიროების შემთხვევაში ცვლილებები შეაქვთ დაგეგმილ აქტივობებში მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით, სთავაზობენ დიფერენცირებულ მიდგომებს, საინტერესო და მოდიფიცირებულ რესურსებს. გარდა ამისა, სამივე საფეხურზე წარმოდგენილია სსსმ მოსწავლის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომელიც მოიცავს გრძელვადიან მიზნებს, მოკლევადიან მიზნებს, შესაბამის აქტივობებსა და აქტივობების განსახორციელებლად საჭირო რესურსებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |
| ესთეტიკური აღზრდა | ესთეტიკური აღზრდის მიმართულებით, მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი ეფუძნება მიდგომას, რომ ყველა მოსწავლე არის უნიკალური თავისი შესაძლებლობებით, ფსიქო-ემოციური და ფიზიკური მახასიათებლებით, სწავლის სტილით, გამოცდილებით, ინტერესებით და საჭიროებებით. ამის მაგალითია როგორც წარმოდგენილი ი.ს.გ ასევე საგნობრივ კურიკულუმებში მოცემული დავალებები, რომლებიც მოსწავლის წინარე ცოდნას, გამოცდილებას, შესაძლებლობას ეყრდნობა, მოსწავლეს აძლევს შესაძლებლობას გამოხატოს საკუთარი აზრი, ცოდნა, დამოკიდებულება მრავალი და მისთვის ეფექტური საშუალებებით. სასწავლო პროცესში აუდიო-ვიდეო რესურსების გამოყენება უზრუნველყოფს მოსწავლეთა ჩართულობას და სწავლების ხელშეწყობას. რადგან სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ /ინკლუზიურ მიდგომებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |
| სახელმწიფო ენა | სასწავლო პროცესი ასახავს ინკლუზიური განათლების პრინციპებს. სკოლაში წარმოდგენილია შესაბამისი დოკუმენტაცია (სსსმ მოსწავლის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, სამოქმედო გეგმები, ანგარიშები და ოქმები), რაც მიუთითებს, რომ სსსმ მოსწავლეთა საჭიროებები გათვალისწინებულია და მათთვის შექმნილია შესაბამისი მხარდაჭერის |

| | |
|---|---|
| | მექანიზმები. დიფერენცირებული მიდგომები ნაწილობრივ იკვეთება სასწავლო პროცესში, ძირითადად აქტივობების მრავალფეროვნების დონეზე, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა ჩართულობას. თუმცა დავალებების ფარგლებში დიფერენცირებული მიდგომები ნაკლებად არის გამოხატული და უფრო ერთგვაროვანი ხასიათისაა. საერთო ჯამში, სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია ინკლუზიური გარემოს არსებობა, ხოლო დიფერენცირება უფრო მეტად ვლინდება აქტივობების მრავალფეროვნებაში, ვიდრე დავალებების შინაარსობრივ განსხვავებაში.<br>**რჩევა:** სასურველია დიფერენცირებული მიდგომების უფრო მიზნობრივი და სისტემური დანერგვა, განსაკუთრებით დავალებების დონეზე. ერთსა და იმავე თემაზე მოსწავლეებს საჭიროა მიეცეთ განსხვავებული სირთულის, ფორმატის ან მხარდაჭერის მქონე დავალებები, რაც უკეთ გაითვალისწინებს მათი ინდივიდუალურ შესაძლებლობებსა და საჭიროებებს. კონკრეტულად, შესაძლებელია:<br>• ერთი დავალების რამდენიმე ვარიანტის შეთავაზება (მარტივი, საშუალო, რთული);<br>• არჩევითი დავალებების გამოყენება, სადაც მოსწავლე თავად ირჩევს მისთვის შესაფერის ფორმატს (ტექსტი, პრეზენტაცია, პროექტი და სხვ.);<br>• დამატებითი დამხმარე მასალების (სქემები, მინიშნებები, მაგალითები) შეთავაზება იმ მოსწავლეებისთვის, ვისაც მეტი მხარდაჭერა სჭირდება;<br>• მაღალი მიღწევის მოსწავლეებისთვის გაფართოებული ან შემოქმედებითი ტიპის დავალებების ჩართვა;<br>ასევე სასურველია, დიფერენცირება აისახოს წინასწარ დაგეგმვაში (კურიკულუმისა და გაკვეთილის გეგმებში) და არა მხოლოდ პროცესის მიმდინარეობისას. ეს ხელს შეუწყობს თითოეული მოსწავლის აქტიურ ჩართულობასა და პროგრესზე ორიენტირებულ პროცესს.<br>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |
| მათემატიკა | სკოლის მათემატიკის მასწავლებელთა მაღალი კვალიფიკაცია გამოსჭვივის არა მარტო წარმოდგენილ მასალებში, დამატებით გამოგზავნილ მასალებში, არამედ დაადასტურეს ინტერვიუს დროსაც, რაც ასახულია მათემატიკის ყველა საფეხურის კურიკულუმში, სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს. უკეთეს შედეგებზე გავლენ თუ მათემატიკის სწავლა/სწავლების პროცესში მეტად |

| | |
|---|---|
| | გამოიყენებენ სხვა საგნებთან საგანთაშორისი კავშირების რეალიზებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |
| სპორტი | ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ მათ გააზრებული აქვთ მოსწავლეთა ინდივიდუალური განსხვავებები, მათ შორის ფიზიკური შესაძლებლობები და საჭიროებები, რაც აისახება კურიკულუმების დაგეგმვის პროცესში. დავალებებისა და აქტივობების მრავალფეროვნება უზრუნველყოფს სხვადასხვა ინტერესისა და სწავლის სტილის მქონე მოსწავლეების აქტიურ ჩართულობას. მასწავლებლებს შეუძლიათ დავალების მოდიფიცირება, რაც საშუალებას აძლევს მოსწავლეს იმუშაოს საკუთარი შესაძლებლობების შესაბამისად და მიაღწიოს სასწავლო მიზნებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |
| ტექნოლოგიები | ინტერვიუს დროს, გამოიკვეთა რომ მასწავლებელი სასწავლო პროცესში აქტიურად იყენებს სხვადასხვა შინაარსის და სირთულის დავალებებს. გამოყენებული დავალებების პირობები, მოსწავლეებს აძლევს საშუალებას საბოლოო პროდუქტი იყოს მრავალფეროვანი მათი სურვილის შესაბამისად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | *ივსება მხოლოდ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დაწყებითი საფეხურისთვის* პედაგოგები იყენებენ დიფერენცირებული სწავლების მიდგომებს, ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს, ინკლუზიურ მიდგომებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |

**5. მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს**

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | სკოლას წარმოდგენილი აქვს სკოლის ვერიფიკაციის ინსტრუქცია, სადაც ჩანს , რომ სკოლა ვერიფიკაციას ახორციელებს სამი მიმართულებით: გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაცია; პროცესის ვერიფიკაცია და მტკიცებულებების ვერიფიკაცია . მოსწავლეების შეფასებისთვის გამოიყენება განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებები. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების სამივე საფეხურზე მასწავლებლებმა |

| | |
|---|---|
| | წარმოადგინეს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების ზოგადი რუბრიკები. ასევე მტკიცებულებად წარმოადგინეს შემაჯამებელი  დავალების ნიმუში და ამ შემაჯამებელი დავალების შეფასების რუბრიკა, შემაჯამებელი დავალების ანალიზი,  ჯგუფური მუშაობის , პროექტის, რეფერატის, კვლევის, შეფასების რუბრიკები... **რჩევა:** გაითვალისწინეთ ქიმიის მასწავლებლის მიერ მოწოდებული განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების ფორმები და შექმენით კონკრეტული თემის, ძირითადი საკითხის ისეთი განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, სადაც გაწერთ შეფასების კრიტერიუმებს კონკრეტულ სამიზნე ცნებასთან მიმართებაში-რა უნდა შეძლოს მოსწავლემ, შესაბამისი მაქსიმალური ქულით და კომენტარით (საჭიროების შემთხვევაში); ასევე განმავითარებელი შეფასების რუბრიკაც: თემა/ძირითადი საკითხი/სამიზნე ცნება/ სამიზნე ცნებასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენებითა და სამიზნე ცნებასთან დაკავშირებული შეფასების კრიტერიუმებით (მოლოდინები). იხელმძღვანელეთ თქვენი საგნობრივი სტანდარტით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | კურიკულუმებში წარმოდგენილია განმავითარებელი შეფასების ნიმუშები, რომლებიც ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების ტაქსონომიას. სასწავლო გეგმაში გაწერილია შეფასების სისტემა — მისი მიზნები, პრინციპები და ამოცანები, ასევე განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებების აღწერა. წარმოდგენილი მტკიცებულებები (რუბრიკები) აჩვენებს, რომ შეფასება ეფუძნება მიღწევის ინდიკატორებს და მიმართულია როგორც შუალედურ, ისე გრძელვადიან მიზნებზე. განმავითარებელი შეფასების კრიტერიუმები ხელს უწყობს სასწავლო პროცესის გაუმჯობესებას და მოსწავლეთა ნამუშევრების ანალიზსა და შეფასებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, სკოლას აქვს შესაბამისი გამოცდილება და მზაობა, რომ შეფასება მიემართებოდეს გრძელვადიან მიზნებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |
| უცხოური ენები | სამივე საფეხურზე წარმოდგენილია განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. ინტერვიუს დროს კათედრამ ანიშნა, რომ აქტიურად მუშაობენ შეფასების ფორმების შექმნაზე და დახვეწაზე. **რჩევა:** სასურველია, კათედრამ შეიმუშავოს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა თითოეული თემის ფარგლებში, რომელიც ნათლად აჩვენებს |

| | |
|---|---|
| | კრიტერიუმებთან მიმართებით რამდენად დაძლია მოსწავლემ შედეგების მიღწევის ინდიკატორები გრძელვადიანი სამიზნე ცნებების მიხედვით. რუბრიკის შედგენისას მნიშვნელოვანია ხარისხობრივი დონეების რაოდენობის სწორად განსაზღვრა. სასურველია, იმდენი დონე გამოიყოს, რომ მათ შორის ხარისხობრივი განსხვავება მკაფიოდ აღიქმებოდეს. შეფასების სკალაზე გადანაწილებული მიღწევის დონეების აღწერილობები ერთნაირად უნდა იყოს ფორმულირებული, ხოლო სხვაობები - შესაბამისი ტერმინებით/ფრაზებით გამოკვეთილი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |
| ესთეტიკური აღზრდა | შეფასების რუბრიკები შემუშავებულია სამიზნე ცნებების და მკვიდრი წარმოდგენების გათვალისწინებით. ინდიკატორებში დაკონკრეტებულია ცოდნის ის სავალდებულო მინიმუმი, რომელსაც მოსწავლე თემის ფარგლებში უნდა დაეუფლოს. მტკიცებულებად წარმოადგენილია რამდენიმე განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა, რომელიც ზოგად წარმოდგენას ქმნის, საფეხურის ფარგლებში შეფასების აღნიშნული ტიპის წარმოების წესზე. სკოლას აქვს გამოცდილება და შესაბამისი მზაობა, რომ შეფასება მიემართებოდეს გრძელვადიან მიზნებს.<br>**რჩევა:** სასურველია,როგორც დაწყებით, ასევე საბაზო საფეხურზე, კურიკულუმის შესაბამისად შეიქმნას განმსაზღვრელი/ განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, კონკრეტული თემის ფარგლებში, სამიზნე ცნების/ მკვიდრი წარმოდგენების მიხედვით.<br>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |
| სახელმწიფო ენა | მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. სკოლაში წარმოდგენილია შეფასების სქემები, განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რაც უზრუნველყოფს შეფასების პროცესის ორგანიზებასა და შედეგებზე ორიენტირებულობას.<br>შეფასება დაკავშირებულია სასწავლო მიზნებთან და კურიკულუმში განსაზღვრულ შედეგებთან, რაც იძლევა შესაძლებლობას, რომ მოსწავლის მიღწევები შეფასდეს წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების საფუძველზე. ასევე გამოიყენება სხვადასხვა ფორმის შეფასება (წერითი, ზეპირი, ანალიტიკური დავალებები), რაც ხელს უწყობს მოსწავლის ცოდნისა და უნარების მრავალმხრივ გამოვლენას. |

| | |
|---|---|
| | ამასთან, შეფასების სისტემა დაკავშირებულია სასწავლო გეგმასთანა და სხვა მხარდამჭერ დოკუმენტებთან, რაც უზრუნველყოფს მისი გამოყენების თანმიმდევრულობას ყველა საფეხურზე.<br>**რჩევა:** შეფასების ფორმათა ორგანიზებისას სასურველია, ისინი მეტი სიზუსტით იყოს მორგებული კონკრეტულ აქტივობებზე და მკაფიოდ იკვეთებოდეს მათი კავშირი შესაბამის სამიზნე ცნებებსა და შედეგებთან კლასისა და საფეხურის სპეციფიკის გათვაალისწინებით. მნიშვნელოვანია, თითოეული აქტივობის ფარგლებში შეფასება მეტად კონკრეტულად ასახავდეს იმას, თუ რას ამოწმებს და რა უნარების განვითარებაზეა მიმართული.<br>ასევე სასურველია, რომ სხვადასხვა ტიპის პროდუქტის (ესე, პრეზენტაცია, თხზულება და სხვ.) შეფასებისას კრიტერიუმები იყოს მეტად დეტალიზებული და შინაარსობრივად ჩაშლილი. ეს ხელს შეუწყობს შეფასების პროცესის გამჭვირვალობას, გაამარტივებს როგორც მოსწავლისთვის მოლოდინების გააზრებას, ისე მასწავლებლისთვის შეფასების პროცესს, და საბოლოოდ შეფასებას უფრო მოქნილსა და მკაფიოს გახდის.<br>**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |
| მათემატიკა | თავდაპირველად წარმოდგენილ მასალებში, ყველა საფეხურის კურიკულუმებში ნაკლებად იყო ასახული შეფასების სისტემები, მაგრამ დამატებით წარმოდგენილ დოკუმენტება ეს ხარვეზი გამოასწორა. მოსწავლეთა შეფასების სისტემა მათემატიკის ყველა საფეხურზე სრულად შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.<br>**რჩევა** - სასურველია, რომ მასწავლებლებმა მეტი ყურადღება გამოიჩინონ დავალებების შერჩევისას და მათი შეფასების შესაბამისი კრიტერიუმების შემუშავებაში. გადაამოწმონ მითითებულ ელექტრონულ პორტალზე განთავსებული მასალები არის თუ არა სრულ შესაბამისობაში მათი მოსწავლეების გონებრივ და ფსიქო-ფიზიოლოგიურ შესაძლებლობებთან, რამდენად მორგებულია პორტალზე განთავსებული დავალების შეფასების კრიტერიუმები სკოლის შესაბამისი კლასის მოსწავლეების შესაძლებლობებთან. თუ შესაბამისობაში არ არის ელექტრულ პორტალებზე განთავსებული დავალებები კონკრეტული კლასის მოსწავლეების ფსიქო-ფიზიოლოგიურ და გონებრივ |

| | |
|---|---|
| | შესაბამისობასთან, მოახდინონ ამ დავალებების კორექტირება და შეუფარდონ კლასის მოსწავლეთა შესაძლებლობებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |
| სპორტი | მასწავლებლებმა წარმოადგინეს შეფასების რუბრიკები სხვადასხვა თემისთვის, რომლებიც შედგენილია ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად და უზრუნველყოფს მოსწავლეთა მიღწევების ობიექტურ განსაზღვრას. ასევე წარმოდგენილი იყო განმავითარებელი შეფასების შევსებული ნიმუში, გაკვეთილზე დაკვირვების შეფასების სქემა და დიაგნოსტიკური შეფასების ინსტრუმენტი, სადაც ოთხ დონეზე დეტალურად არის აღწერილი მოსწავლის მოსალოდნელი შედეგები კონკრეტულ ქვესაკითხსა და შესაბამის სამიზნე ცნებასთან მიმართებით. შეფასების რუბრიკები ხელს უწყობს როგორც მოსწავლეთა პროგრესის ეფექტურ მონიტორინგს, ასევე ეხმარება მასწავლებლებს სწორად დაგეგმონ სასწავლო პროცესი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |
| ტექნოლოგიები | სკოლა იყენებს როგორც განმავითარებელი, ასევე განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებს. მტკიცებულების სახით წარმოდგენილია, ზოგადი სახის განმავითარებელი და გამსაზღვრელი შეფასების რუბრიკებს.<br>**რჩევა:** სასურველია შეფასების რუბრიკები იყოს კონკრეტულ აქტივობაზე მორგებული და არა ზოგადი სახის. დაკონკრეტდეს როგორ ხდება შუალედური და საფეხურებრივი მიღწევების ანალიზი. სასურველია ჩანდეს როგორ უკავშირდება შეფასება მოსწავლის ინდივიდუალურ პროგრესს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | *ივსება მხოლოდ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დაწყებითი საფეხურისთვის*<br>სწავლების პროცესში მასწავლებლები იყენებენ განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს, როგორიცაა დავალების, პრეზენტაციის, დისკუსიის და ა.შ. სხვადასხვა აქტივობის შეფასება.<br>**რჩევა:** სასურველია, ყველა საგანში შემუშავდეს კურიკულუმში გაწერილ დავალებებზე მორგებული რუბრიკები, რომლებშიც მკაფიოდ გამოიკვეთება კრიტერიუმების მიმართება სამიზნე ცნებებთან და გათვალისწინებული იქნება სტანდარტით მისაღწევი შედგები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები;
საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები;
საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები;
ვიზიტამდე გამოთხოვილი მასალები;
ვიზიტის დროს წარმოდგენილი მასალები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

| *დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* | *საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* | *საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* |
|---|---|---|
| ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

**2.2. კურიკულუმის განხორციელება**

**2.2.1. სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა  და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად**

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრის მიერ წარმოდგენილი შემოქმედებითი დავალებების და სხვა განხორციელებული აქტივობების ამსახველი მასალა, ასევე საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრის ანგარიშები ადასტურებს რომ სასწავლო პროცესი სამივე საფეხურზე იგეგმება სასკოლო კურიკულუმების შესაბამისად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | კურიკულუმებში მოცემული კომპლექსური დავალებები იძლევა იმის საშუალებას, რომ მოსწავლეები აქტიურად იყვნენ ჩართული სასწავლო პროცესში. ამას ასევე ხელს უწყობს ის სასწავლო რესურსები, რომლებიც შერჩეული და წარმოდგენილი იყო. კარგი იქნებოდა, ყველა რესურსი, რომელიც მოცემულია სამივე საფეხურის კურიკულუმებში ისეთი ლინკის სახით ყოფილიყო მოცემული, რომლის ნახვასაც შევძლებდით. მასწავლებლებთან ინტერვიუმ ცხადყო, რომ მათ აქვთ ამ პროცესის დაგეგმვის სწორი ხედვა, რომ უზრუნველყონ მოსწავლეების აქტიური ჩართვა სწავლის პროცესში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |
| უცხოური ენები | სასწავლო პროცესი შეესაბამება სასკოლო კურიკულუმის მოთხოვნებსა და მიზნებს. წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და კათედრასთან ინტერვიუს საფუძველზე ჩანს, რომ სასწავლო პროცესი წარიმართება კურიკულუმის (მიზნები, თემატიკა, ძირითადი საკითხები და ა.შ.) შესაბამისად, რაც უზრუნველყოფს სწავლების პროცესის თანმიმდევრულობას, სისტემურობასა და მიზნობრივობას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |
| ესთეტიკური აღზრდა | სკოლაში სასწავლო პროცესი დაეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. სასწავლო პროცესი ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ სწავლა-სწავლების პრინციპებს ეფუძნება, რასაც ადასტურებს კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია და მასწავლებლებთან გასაუბრება. საგნობრივი კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და წარმართვის გზას კერძოდ, კურიკულუმში წარმოდგენილი შემოქმედებითი დავალებები გათვლილია მოსწავლეთა უნარებსა და შესაძლებლობებზე (პრეზენტაციით, პოსტერებით, ბუკლეტებით, სხვა) საკუთარი თავის წარმოჩენის საშუალება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |

| | |
|---|---|
| სახელმწიფო ენა | სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად და ასახავს მასში განსაზღვრულ თემატურ ერთეულებს, სასწავლო მიზნებსა და აქტივობებს. კურიკულუმში წარმოდგენილი სტრუქტურა (თემები, ქვეთემები, სამიზნე ცნებები, აქტივობები, შეფასების ფორმები) უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებასა და თანმიმდევრულ დაგეგმვას ყველა საფეხურზე.<br>სასწავლო პროცესის დაგეგმვა დაკავშირებულია სასწავლო გეგმასთან, შეფასების სქემებთან, რუბრიკებთან და სხვა მარეგულირებელ დოკუმენტებთან, რაც ხელს უწყობს სწავლა-სწავლების პროცესის ერთიან ჩარჩოში მოქცევას. ასევე იკვეთება კურიკულუმში გაწერილი აქტივობების პრაქტიკაში დანერგვა. რაც უზრუნველყოფს დაგეგმილი პროცესის განხორციელებას.<br>საერთო ჯამში, სასწავლო პროცესი კურიკულუმის შესაბამისად არის ორგანიზებული და იძლევა სისტემური დაგეგმვის შესაძლებლობას ყველა საფეხურზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |
| მათემატიკა | მათემატიკის სწავლა/სწავლების პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად, რომელიც დაგეგმილია სკოლის მიერ ყველა საფეხურის კურიკულუმების შესაბამისად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |
| სპორტი | ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კურიკულუმებში თემებთან გაწერილია მრავალფეროვანი სპორტული აქტივობები, რაც ხელს უწყობს როგორც პრაქტიკული უნარების განვითარებას, ასევე თეორიული ცოდნის განმტკიცებას. შესწავლილი საკითხების წარმოსაჩენად მასწავლებლებმა განახორციელეს შიდა სასკოლო სპორტული ფესტივალები: დაწყებით საფეხურზე - „მხიარული სტარტები“, საბაზო და საშუალო საფეხურზე - „ფრენბურთი“, ასევე განახორციელეს საკლასო სპორტული ფესტივალები „მძლეოსნობაში“, „კალათბურთში“ და „ხელბურთში“ სადაც მოსწავლეებმა აჩვენეს კარგი შედეგი გუნდური მუშაობისა და თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების კუთხით. სკოლის ფრენბურთელ გოგონათა და ვაჟთა გუნდები მონაწილეობას იღებდნენ სასკოლო სპორტულ ფესტივალში - მუნიციპალურ თამაშებში, სადაც გოგონათა გუნდმა პირველი, ხოლო ვაჟების გუნდმა მეორე ადგილი მოიპოვა. მასწავლებლებმა ინტერვიუზე აღნიშნეს, რომ სკოლის |

| | |
|---|---|
| | გოგონათა ფრენბუთის გუნდი რამდენიმე წელია სტაბილურად წარმატებით ასპარეზობს ტურნირებში და პირველ ადგილს იკავებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |
| ტექნოლოგიები | სასწავლო პროცესის დაგეგმვა განხორციელებულია კურიკულუმის შაბლონის შესაბამისად, რაც უზრუნველყოფს მინიმალურ სტრუქტურულ შესაბამისობას ეროვნულ სასწავლო გეგმასთან. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | *ივსება მხოლოდ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დაწყებითი საფეხურისთვის*<br>სასწავლო პროცესი დაგეგმილია და ძირითადად ხორციელდება კურიკულუმის შესაბამისად (საჭიროების შემთხვევაში ხდება მოდიფიცირება). გრძელვადიან სამიზნე ცნებებზე დაყრდნობით, სავალდებულო თემების ფარგლებში, შუალედური მიზნების დახმარებით მუშავდება კურიკულუმში გაწერილი საკითხები.<br>**რჩევა:** სასურველია, კურიკულუმში გაიწეროს იმდენი დავალება, რამდენსაც რეალურად განახორციელებენ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |

## 2. სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე

სკოლაში არსებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით ჩანს, რომ დაწესებულება მკვეთრად გამოხატავს მოქნილ, დროულ და მრავალმხრივ რეაგირებას როგორც აკადემიური, ისე ინკლუზიური მიმართულებით. დოკუმენტი N69 აღწერს, რომ ისგ ჯგუფი იკრიბება სემესტრში მინიმუმ ორჯერ, ხოლო საჭიროების შემთხვევაში — დამატებითაც, რათა მოხდეს მოსწავლის მიმდინარე პროგრესის შეფასება, ინდივიდუალური გეგმის კორექცია და სტრატეგიების შეცვლა საჭიროების შესაბამისად. ოქმი აჩვენებს, რომ მასწავლებლები ხშირად აფასებენ მოსწავლის რეალურ დინამიკას და ახდენენ ისგ-ის ცვლილებას მტკიცებულებებზე დაფუძნებით. სპეციალური მასწავლებლების ანგარიშები (დანართი N67 და N68) ცხადყოფს, რომ ისინი რეგულარულად აფასებენ მოსწავლის პროგრესს, დეტალურად აღწერენ რა გამოსდის მოსწავლეს და რა — არა, და შესაბამისად ცვლიან სწავლების მეთოდებს. სახეზეა მოქნილი და უწყვეტი მონიტორინგი. პედაგოგიური საბჭო რეგულარულად იკრიბება მნიშვნელოვან საკითხებზე დროული რეაგირების მიზნით. პედსაბჭოს ოქმი (დანართი N12) ასახავს, რომ საბჭო ამტკიცებს წლიურ გეგმას, მაგრამ ასევე უზრუნველყოფს რიგგარეშე სხდომების მოწვევას იმ შემთხვევაში, თუ წლის განმავლობაში წარმოიქმნება გადაუდებელი საკითხები, რაც ადასტურებს, რომ სკოლა არ არის სტატიკური და რეაგირებს ოპერატიულად მიმდინარე საჭიროებებზე. კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი (დანართი N73) მკაფიოდ მიუთითებს, რომ სასკოლო კურიკულუმი უნდა იყოს განახლებადი და ადაპტირებადი, ხოლო საჭიროების შემთხვევაში მოხდეს მისი

დროული კორექცია. პროცესში ჩართულობა მოეთხოვება ყველა სტრუქტურულ ერთეულს — კათედრებს, დირექციას, მშობლებსა და მოსწავლეებს, რაც უზრუნველყოფს კურიკულუმის რეაგირებადობას და მოქნილობას მიმდინარე საგანმანათლებლო პროცესებში. სკოლაში შექმნილია მასწავლებელთა ხარისხის განვითარების და მხარდაჭერის ჯგუფი, რაც დასტურდება შესაბამისი შეხვედრების ოქმებით. ჯგუფი უზრუნველყოფს მასწავლებელთა საჭიროებებზე სტრატეგიულ რეაგირებას, გამოცდილების გაზიარებას და გამოვლენილი პრობლემების გადაჭრას, რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს სკოლის მოქნილ მართვასა და პროცესებზე დროულ რეაგირებაზე. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე დასტურდება, რომ სკოლა ოპერატიულად, მიზანმიმართულად და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე, ახორციელებს უწყვეტ მონიტორინგს და იღებს გადაწყვეტილებებს მტკიცებულებებზე დაყრდნობით.

**რჩევა:** სასურველია სკოლამ გააძლიეროს უკუკავშირის სისტემურობა და ცვლილებების მონიტორინგის ერთიანი მექანიზმის ფორმალიზება, რადგან განვითარებად მხარედ რჩება ის, რომ მოქნილი რეაგირების პროცესები დოკუმენტურად სხვადასხვა ფაილებშია გაფანტული, და არ არსებობს ერთიანი, სისტემური მექანიზმი, რომელიც გააერთიანებს საჭიროებების გამოვლენას, რეაგირებას, კორექციას და შედეგის შეფასებას.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. **შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი**

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრის მიერ წარმოდგენილი განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, შემაჯამებელი დავალების ანალიზის ნიმუში, ასევე სკოლის ვერიფიკაციის მექანიზმი, ადასტურებს რომ შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭირვალე, ობიექტური და სანდო და სამართლიანი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ინტერვიუების საფუძველზე იკვეთება, რომ სკოლაში გამოყენებულია შეფასების მრავალფეროვანი ინსტრუმენტები, მათ შორის განმავითარებელი რუბრიკები და ზეპირი უკუკავშირი. მოსწავლეები ინფორმირებულნი არიან შეფასების კრიტერიუმების შესახებ და ჩართულნი არიან შეფასების პროცესში, რაც ხელს უწყობს სისტემის გამჭვირვალობასა და სამართლიანობას. ამასთან, სკოლაში მიმდინარეობს მუშაობა |

| | |
|---|---|
| | შეფასების ინსტრუმენტების დახვეწაზე, განსაკუთრებით მათი მეტად შესაბამისობაში მოყვანაზე ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების ინდიკატორებთან, რაც კიდევ უფრო გააძლიერებს შეფასების ვალიდურობასა და სანდოობას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |
| უცხოური ენები | სამივე საფეხურზე კათედრა ცდილობს შეფასების სისტემა დააფუძნოს სანდოობის, ობიექტურობისა და სამართლიანობის პრინციპებზე. შეფასების პროცესში ყურადღება ექცევა მოსწავლეთა ჩართულობას, წაკითხულის გააზრებას, მოსმენილის გაგებას, მეტყველებას, წერის უნარებს.<br>**რჩევა:** სასურველია, შემაჯამებელი სამუშაოს დავალების თითოეულ ტიპს ახლდეს შეფასების ზოგადი რუბრიკა და მითითებული იყოს სტანდარტის ის შედეგები, რომელთა შემოწმებასაც ემსახურება შემაჯამებელი დავალება. ფორმის თვალსაზრისით, სასურველია, შემაჯამებელი სამუშაო ჩატარდეს ნებისმიერი მიმართულებით, იქნება ეს ზეპირმეტყველება, წერა თუ კითხვა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |
| ესთეტიკური აღზრდა | სკოლის შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმის მიხედვით, სკოლას განსაზღვრული აქვს შეფასების ინსტრუმენტები. წარმოდგენილი ნიმუშების მიხედვით, ესთეტიკის კათედრა იყენებს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებს, რომლებიც შექმნილია კონკრეტული თემისა და დავალებისათვის. წარმოდგენილი შეფასების რუბრიკების ნიმუშების მიხედვით, შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |
| სახელმწიფო ენა | სკოლაში მოქმედი შეფასების სისტემა ეფუძნება ვალიდურობის, გამჭვირვალობის, სანდოობისა და ობიექტურობის პრინციპებს, რაც შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ სტანდარტებს. შეფასება მხოლოდ შედეგის დაფიქსირებას არ გულისხმობს და იგი განიხილება როგორც უწყვეტი, მოსწავლის განვითარებაზე ორიენტირებული პროცესი.<br>აღსანიშნავია, რომ სკოლაში შემუშავებული შეფასების რუბრიკები პირდაპირ არის დაკავშირებული იმ აქტივობებთან, რომლებიც გამოიყენება სწავლების პროცესში. თითოეული რუბრიკა შეესაბამება კონკრეტული აქტივობის შინაარსსა და მიზანს. მათში გაწერილია შეფასების კრიტერიუმები, რაც მოსწავლეებსა და მშობლებს აძლევს შესაძლებლობას, წინასწარ გაეცნონ შეფასების სტანდარტებს. ამგვარად, შეფასება ეფუძნება განსაზღვრულ მოლოდინებს და ნაკლებად არის დამოკიდებული სუბიექტურ მიდგომებზე. |

| | |
|---|---|
| | ვერიფიკაციის დოკუმენტების მიხედვით, მასწავლებლები პერიოდულად აანალიზებენ შეფასების პრაქტიკას, რაც კიდევ უფრო ამყარებს შეფასების სისტემის ობიექტურობასა და სანდოობას.<br>**რჩევა:** სასურველია უფრო აქტიურად გამოიყენოს სკოლამ შეფასების სხვა ფორმები, როგორებიცაა თვითშეფასება, მოსწავლეთა შეფასება და სხვა... შეფასების ფორმები სასურველია უფრო ზუსტად იყოს მორგებული კონკრეტულ აქტივობებზე და მკაფიოდ უკავშირდებოდეს შესაბამის სამიზნე ცნებებსა და შედეგებს, რათა ნათლად იკვეთებოდეს, რას აფასებს თითოეული აქტივობა. ასევე მიზანშეწონილია, სხვადასხვა ტიპის პროდუქტის (ესე, პრეზენტაცია, თხზულება და სხვ.) შეფასების კრიტერიუმები იყოს მეტად დეტალიზებული და შინაარსობრივად ჩაშლილი, რაც შეფასებას უფრო გამჭვირვალესა და გასაგებს გახდის. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |
| მათემატიკა | წარმოდგენილ დოკუმენტებში, განსაკუთრებით დამატებით წარმოდგენილ დოკუმენტებში ჩანს, რომ მათემატიკაში შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |
| სპორტი | მასწავლებლებს კურიკულუმში გაწერილი თემების შესაბამისად შემუშავებული აქვთ შეფასების რუბრიკები, რომლებიც ორიენტირებულია გრძელვადიანი მიზნების მიღწევაზე, უზრუნველყოფს სწავლის ხარისხის გაუმჯობესებას და ხელს უწყობს თითოეული მოსწავლის მაქსიმალურ განვითარებას. შეფასების პროცესში მნიშვნელოვანი ყურადღება ექცევა მოსწავლის მიღწევების დეტალურ აღწერას და ინდივიდუალურ, კონსტრუქციულ უკუკავშირს, რომელიც ასახავს, თუ რა უწყობს ხელს ან აფერხებს მის წინსვლას. შეფასების კრიტერიუმები წინასწარ არის გაზიარებული მოსწავლეებისთვის, რაც უზრუნველყოფს პროცესის გამჭვირვალობას, ზრდის ნდობას და ქმნის სამართლიან და ობიექტურ შეფასებით გარემოს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |
| ტექნოლოგიები | სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ნაჩვენებია მრავალკომპონენტიანი განმავითარებელი და განმსაზღრელი შეფასების რუბრიკები.<br>**რჩევა:** სასურველია შეფასება ასახავდეს იმ პრაქტიკულ პროცესს, რაც ქმნის ობიექტურ და სამართლიან შეფასების გარემოს. შესაბამისად უფრო მკაფიოდ გაიწეროს შეფასება |

| | |
|---|---|
| | დავალებებში ასახულ სამიზნე ცნებებთან შესაბამისობაში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | *ივსება მხოლოდ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დაწყებითი საფეხურისთვის* მასწავლებლები იყენებენ შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტს. წარმოდგენილია მოსწავლეთა წარმატების ამსახველი განმავითარებელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები. **რჩევა:** სასურველია, ყველა საგანში აწარმოონ კონკრეტულ დავალებაზე მორგებული რუბრიკები, და სადიაგნოსტიკო შეფასება, რომლებშიც მკაფიოდ გამოიკვეთება კრიტერიუმების მიმართება სამიზნე ცნებებთან და გათვალისწინებული იქნება სტანდარტით მისაღწევი შედეგები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |

4. **სკოლაში ფუნქციონირებს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი**

სკოლას წარმოდგენილი აქვს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის დებულება და შესაბამისი ბრძანება, რომლებიც განსაზღვრავს შეფასების შიდა გადამოწმების, ანალიზისა და ერთიანობის უზრუნველყოფის პროცედურებს. საგნობრივი კათედრების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში გამოიკვეთა, რომ ისინი სისტემურად ახორციელებენ შემაჯამებელი დავალებების წინასწარ და შემდგომ გადამოწმებას, აკვლევენ დავალების შესაბამისობას სტანდარტის შედეგებთან და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებენ კორექციას. პრაქტიკაში დადასტურდა, რომ ყველა კათედრა იყენებს ვერიფიკაციის ფორმებს, შედარებს ნაშრომებს სხვადასხვა პარალელებს შორის და უზრუნველყოფს შეფასების სისტემის ობიექტურობასა და სანდოობას. შესაბამისად, დადასტურებულია, რომ სკოლაში რეალურად მოქმედებს და გამოიყენება ვერიფიკაციის მექანიზმი.

**რჩევა:** სასურველია, რომ სკოლამ დანართი N23 სრულად განაახლოს, რადგან წარმოდგენილ დოკუმენტში დაფიქსირებულია ტექნიკური ხარვეზი — ტექსტის ნაწილი დამახინჯებულია, შეიცავს არასწორ და სკოლისთვის არარელევანტურ ტერმინებს (მაგ., მასწავლებლის სქემიდან გადმოტანილი ფორმულირებები), რაც ავლენს დოკუმენტის ტექნიკური დაზიანების ფაქტს. დებულების კორექტული, სუფთა და ტერმინოლოგიურად ზუსტი ვერსიის არსებობა კიდევ უფრო გაამყარებს შეფასების სისტემის შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებს.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

5. **სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით**

სკოლაში წარმოდგენილი დოკუმენტაცია და დაკვირვების პროცესში მიღებული ინფორმაცია ცხადყოფს, რომ დაწესებულება უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების, დოკუმენტებისა და მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას დადგენილი წესით. მასწავლებლები აწარმოებენ მიმდინარე და შემაჯამებელი შეფასების ჩანაწერებს, ინახავენ შეფასების რუბრიკებს, დავალებებს, მოსწავლეთა ნამუშევრებს, გაანალიზებულ მასალებსა და ვერიფიკაციის ფორმებს როგორც ბეჭდურ, ისე ციფრულ არქივში. საგნობრივი კათედრების მიერ მიწოდებული დოკუმენტები და ვერიფიკაციის მექანიზმის ფუნქციონირებაპრაქტიკაში ადასტურებს, რომ შეფასების მონაცემები ინახება მინიმუმ 3 წლის ვადით და საჭიროების შემთხვევაში ადვილად ხელმისაწვდომია შიდა მონიტორინგისა და განმეორებითი ანალიზისთვის. ასევე, თანამდებობრივი ინსტრუქციები (დანართი N33) მკაფიოდ განსაზღვრავს თანამშრომელთა ვალდებულებას შეინარჩუნონ დოკუმენტაცია, დაიცვან აღრიცხვისა და არქივაციის წესები და უზრუნველყონ პროცესის უწყვეტობა.

ზემოაღნიშნული გარემოებები ადასტურებს, რომ სკოლა სრულად იცავს შეფასების მონაცემების აღრიცხვისა და შენახვის სტანდარტს.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

დანართი N67  სსსმ მოსწავლეზე ანგარიში;

დანართი N68 ანგარიში N2 სსსმ მოსწავლეზე;

დანართი N69 სსსმ მოსწავლეზე ოქმი;

დანართი N71 კურიკულიმის მეთოდოლოგიის შემუშავებასთან დაკავშირებით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ;

დანართი N73 კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;

დანართი N33 თანამდებობრივი;

დანართი N23  ვერიფიკაციის დებულება და ბრძანება;

წარმოდგენილი კურიკულუმები საშუალო, საბაზო და დაწყებითი საფეხურის.

## 2.2.2. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში**

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრა იყენებს სკოლაში არსებულ დამხმარე მატერიალურ რესურსებს სკოლის ლაბორატორიიდან (მიუხედავად მათი სიმწირისა). ასევე სხვადასხვა ელექტრონულ რესურსებს. ეს რესურსები შესაბამისობაშია სასწავლო მიზნებთან. გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ აქტიურად ხდება დამხმარე (მათ მიერ შექმნილი ან მოძიებული) რესურსების გამოყენებაც. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | წარმოდგენილი კურიკულუმებისა და ინტერვიუების საფუძველზე იკვეთება, რომ სასწავლო პროცესში გამოყენებულია კურიკულუმით განსაზღვრული როგორც ძირითადი, ისე დამხმარე სასწავლო რესურსები. მასწავლებლები იყენებენ გრიფირებულ სახელმძღვანელოებს, დამატებით საგანმანათლებლო მასალებსა და ციფრულ რესურსებს, რაც ხელს უწყობს სასწავლო პროცესის ეფექტიანად წარმართვას.<br>ამასთან, სასწავლო რესურსები ზოგადად შესაბამისობაშია კურიკულუმით განსაზღვრულ მიზნებსა და შედეგებთან. თუმცა, რეკომენდირებულია რესურსების გამოყენების მეტად სისტემატიზაცია და მრავალფეროვნების გაზრდა, რაც კიდევ უფრო გააძლიერებს სასწავლო პროცესს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |
| უცხოური ენები | სამივე საფეხურზე სასწავლო პროცესში გამოიყენება კურიკულუმით განსაზღვრული როგორც ძირითადი, ისე დამხმარე სასწავლო რესურსები, რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და გასაუბრებით. წინასწარ განსაზღვრული რესურსების გამოყენება ხელს უწყობს სასწავლო მიზნების ეფექტიანად მიღწევას და უზრუნველყოფს მოსწავლეთა ცოდნისა და უნარების განვითარებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |
| ესთეტიკური აღზრდა | სახვით და გამოყენებითი ხელოვნების საგნობრივ კურიკულუმში გაწერილია სავალდებულო და დამხმარე რესურსები, რომლებიც გამოყენებულია სასწავლო პროცესში სასწავლო შედეგის მისაღწევად.შემოქმედებითი დავალების პროდუქტის შესაქმნელად მასწავლებლის მიერ |

| | |
|---|---|
| | გამოყენებულია, როგორც ვიდეო ასევე აუდიო რესურსი, რაც განაპრობებს სასწავლო პროცესის მრავალფეროვნად წარმართვის საშულებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |
| სახელმწიფო ენა | კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსები გამოიყენება სასწავლო პროცესში და დაკავშირებულია თემატურ ერთეულებსა და დაგეგმილ აქტივობებთან. კურიკულუმში წარმოდგენილია როგორც სახელმძღვანელოები, ისე დამატებითი რესურსები (ელექტრონული მასალა, ვიდეოები და სხვა), რაც ხელს უწყობს სასწავლო პროცესის თანმიმდევრულობასა და მრავალფეროვნებას.<br>რესურსების გამოყენება შესაბამისობაშია სასწავლო გეგმასთან, შეფასების სქემებთან და სხვა მხარდამჭერ დოკუმენტებთან, მათ შორის ბიბლიოთეკის ფუნქციონირებისა და მატერიალური რესურსების გამოყენების მარეგულირებელ დებულებებთან. ეს ქმნის პირობებს, რომ რესურსები გამოყენებული და დაგეგმილი იყოს სასწავლო მიზნების მიღწევისათვის.<br>საერთო ჯამში, კურიკულუმით განსაზღვრული რესურსები ინტეგრირებულია სასწავლო პროცესში და უზრუნველყოფს სწავლა-სწავლების პროცესის მხარდაჭერას ყველა საფეხურზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |
| მათემატიკა | ყველა საფეხურის მათემატიკის კურიკულუმებით დასტურდება, რომ კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში, რაც დაადასტურეს მასწავლებლებმა პირადი ინტერვიუს დროს.<br>**რჩევა:** სასურველია მეტი ყურადღება მიექცეს იმ გრიფირებული სახელმძღვანელოებიდან დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში მათემატიკური ტერმინების გამოყენებას, რომლებიც თარგმნილია ქართულად და ზოგიერთი ტერმინის დასახელება მთარგმნელის მიერ რამდენადმე განსხვავდება ქართულ ენაში მიღებული და დამკვიდრებული ტერმინებისგან. ვთვლი, რომ როგორც სილაბუსებში, ისე მათემატიკის გაკვეთილებზე გამოყენებული უნდა იქნეს ქართულ ენაში დამკვიდრებული და საყოველთაოდ აღიარებული მათემატიკური ტერმინები, ადგილი არ უნდა ქონდეს სწავლების სხვადასხვა საფეხურზე ერთი და იგივე შინაარსის მქონე ცნების სხვადასხვა, ერთმანეთისაგან განსხვავებული ტერმინების გამოყენებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |

| | |
|---|---|
| სპორტი | კურიკულუმებში თემების შესაბამისად ინტეგრირებულია მრავალფეროვანი სასწავლო რესურსი ლინკების სახით, მათ შორის: სახელმძღვანელოები, მასწავლებლის გზამკვლევები, პრეზენტაციები სპორტის სხვადასხვა სახეობის წარმოშობის ისტორიასა და ძირითად წესებზე, ასევე ვარჯიშების ვიდეოინსტრუქციები. მასწავლებლები აღნიშნულ რესურსებს აქტიურად იყენებენ სასწავლო პროცესში, რაც უზრუნველყოფს მასალის მრავალმხრივ წარმოდგენას და ხელს უწყობს მოსწავლეთა მიერ შესასწავლი საკითხების უკეთ გააზრებასა და პრაქტიკულ ათვისებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |
| ტექნოლოგიები | კურიკულუმებში ძირითადად წარმოდგენილია ელ. მასალები. გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ აქტიურად ხდება დამხმარე რესურსების გამოყენებაც. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | *ივსება მხოლოდ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დაწყებითი საფეხურისთვის*<br>სასწავლო პროცესში გამოიყენება გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები, დამატებითი მატერიალური, აუდიო და ვიდეო რესურსები<br>**რჩევა:** სასურველია, საგნობრივ კურიკულუმებში გაწერილი თემების დამუშავების დროს მასწავლებლებმა გამოიყენონ მრავალფეროვანი, დამხმარე, მატერიალური და ელექტრონული რესურსები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |

2. **სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას**

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრის მიერ წარმოდგენილ სხდომის ოქმში ჩანს, რომ ძირითად გრიფირებულ და დამხმარე სახელმღვანელოებს კათედრა ირჩევს წლის დასაწყისში. სკოლა თავად უზრუნველყოფს დამხმარე რესურსების ვალიდურობას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | წარმოდგენილი ინფორმაციისა და ინტერვიუების საფუძველზე იკვეთება, რომ სკოლაში ხდება დამხმარე სასწავლო რესურსების შერჩევა და გამოყენება საგნობრივი მიზნებისა და მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებით. რესურსების გამოყენება მეტწილად შეთანხმებულია საგნობრივ კათედრებზე. ამასთან, რეკომენდირებულია დამხმარე |

| | |
|---|---|
| | რესურსების ვალიდაციის პროცედურების უფრო მკაფიო განსაზღვრა და დოკუმენტირება, რაც უზრუნველყოფს მათი შესაბამისობისა და ხარისხის მეტად სისტემურ კონტროლს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |
| უცხოური ენები | სამივე საფეხურზე კურიკულუმით გათვალისწინებული დამხმარე რესურსი შესაბამისობაშია სასწავლო მიზნებთან. რესურსი შერჩეულია მიზნობრივად თემატური ერთეულების მიხედვით. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებმა იციან რესურსის შერჩევის სტრატეგიები და დიდ ყურადღებას აქცევენ სანდოობას, მოქნილობას, სამიზნე ჯგუფის თავისებურებებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |
| ესთეტიკური აღზრდა | დამხმარე საგანმანათლებლო რესურსების ვალიდაცია ხორციელდება საგნობრივი კათედრების შეხვედრების ფარგლებში. სკოლა სასწავლო წლის დასაწყისში ირჩევს, როგორც გრიფირებულ სახელმძღვანელოებს, ასევე სამინისტროს მიერ მოწოდებულ რესურსებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |
| სახელმწიფო ენა | სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაციას, რაც ასახულია შესაბამის დოკუმენტაციასა და პრაქტიკაში. კათედრის ოქმებში დაფიქსირებულია, რომ სასწავლო პროცესში გამოყენებამდე რესურსები წინასწარ განიხილება და მტკიცდება, რაც უზრუნველყოფს მათი შესაბამისობის შეფასებას როგორც სასწავლო მიზნებთან, ისე კურიკულუმით განსაზღვრულ შედეგებთან. ვალიდაციის პროცესში ყურადღება ექცევა რესურსის შინაარსს, მის შესაბამისობას თემატურ ერთეულებთან, აქტივობებთან და გამოყენების მიზანთან. აღნიშნული მიდგომა დაკავშირებულია ვერიფიკაციის დებულებასთან, ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკასთან და ხარისხის განვითარების ჯგუფის საქმიანობასთან, რაც ქმნის რესურსების შერჩევისა და გამოყენების უფრო ორგანიზებულ ჩარჩოს.<br>ამგვარად, დამხმარე რესურსების შერჩევა და გამოყენება ხორციელდება წინასწარი განხილვისა და შეთანხმების საფუძველზე, რაც უზრუნველყოფს მათ მიზნობრივად და სასწავლო პროცესთან შესაბამისობაში გამოყენებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |
| მათემატიკა | ყველა საფეხურის მათემატიკის კურიკულუმებით დასტურდება, რომ სკოლა უზრუნველყოფს კურიკულუმით განსაზღვრული დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას სასწავლო პროცესში, რაც ჩანს სკოლის თვითშეფასების დოკუმენტში და |

| | |
|---|---|
| | დაადასტურეს მასწავლებლებმა პირადი ინტერვიუს დროს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |
| სპორტი | მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ სასწავლო წლის დასაწყისში ხდება საგანმანათლებლო რესურსების განხილვა და შერჩევა წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების საფუძველზე. შერჩეული რესურსები ორიენტირებულია მოსწავლეთა სწავლის უნარების განვითარებასა და სასწავლო მასალის სიღრმისეულ გააზრებაზე. ვალიდაციის პროცესში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა რესურსის შესაბამისობას მოსწავლეთა ასაკობრივ თავისებურებებთან, სანდოობასა და ხარისხს, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში გამოყენებული მასალების რელევანტურობასა და ეფექტურობას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |
| ტექნოლოგიები | წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოში წარმოდგენილი სასწავლო რესურსი ვალიდურია, რადან შეესაბამება სასწავლო მიზნებს, საგნობრივ სტანდარტებს და მოსწავლეთა საჭიროებებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | *ივსება მხოლოდ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დაწყებითი საფეხურისთვის* დამხმარე სასწავლო რესურსები შეირჩევა შეთანხმებულად, დაწყებითი კლასების კათედრაზე, მოსწავლეთა საჭიროებებისა და ინტერესების გათვალისწინებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |

**3. კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

მცირეკონტინგენტიანი სკოლა უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა.

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/ მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | დაწყებით საფეხურზე არ იგეგმება ისეთი აქტივობები რომელიც მოითხოვს ექსპერიმენტებს ლაბორატორიაში, ამიტომ დაწყებითი საფეხურისთვის სკოლაში არსებული მატერიალური რესურსები სრულად უზრუნველყოფს სასწავლო შედეგების მიღწევას . საბაზო და საშუალო |

| | |
|---|---|
| | საფეხურზე, მიუხედავად იმისა რომ სკოლას აქვს მოძველებული საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, სადაც ინახება სხვადასხვა რესურსები მცირე რაოდენობით, ოთახში არ არის გამწოვი , სველი წერტილი, შედეგად ვთვლი, რომ ვერ მოხერხდება უსაფრთხოების წესების დაცვა შესაბამისი უსაფრთხოების ნორმების მიხედვით. ამიტომ ვერ უზრუნველყოფს სასწავლო შედეგების მიღწევას.<br>**რჩევა:** სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის საფუძველზე სკოლას მიეცეს რეკომენდაცია საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის მოწყობა და რესურსებით უზრუნველყოფა მოახდინოს 2027 წლის სექტემბრამდე. მოახერხოს უსაფრთხოების წესების დაცვა შესაბამისი უსაფრთხოების ნორმების მიხედვით. |
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე იკვეთება, რომ სკოლა ძირითადად უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის განხორციელებას შესაბამისი მატერიალური რესურსით, რაც ხელს უწყობს კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. არსებული რესურსები, საერთო ჯამში, შეესაბამება სასწავლო პროცესის საჭიროებებს და მოსწავლეთა რაოდენობას.<br>ამასთან, რეკომენდირებულია მატერიალური რესურსების მუდმივი განახლება და საჭიროებების შესაბამისად განვითარება, რაც კიდევ უფრო გააუმჯობესებს სასწავლო გარემოს ხარისხს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |
| უცხოური ენები | სამივე საფეხურზე სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსებით, როგორც გრიფირებული სახელმძღვანელოების, ასევე დამხმარე ციფრული რესურსების სახით, რაც საშუალებას აძლევს როგორც მასწავლებელს, ისე მოსწავლეს ეფექტურად განახორციელონ სასწავლო პროცესი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |
| ესთეტიკური აღზრდა | თვითშეფასების კითხვარითა და პედაგოგებთან ინტერვიუთი გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესის ეფექტიანად წარმართვა და კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსებით. საკლასო სივრცე აღჭურვილია მოსწავლეთა ზღვრული ადგილების რაოდენობის მიხედვით საჭირო ინვენტარით, რაც საშუალებას აძლევს მოსწავლეებს აქტიურად ჩაერთონ სწავლის პროცესში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |

| | |
|---|---|
| სახელმწიფო ენა | კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით და ორგანიზებულია მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. სკოლაში წარმოდგენილია მატერიალური რესურსების გამოყენების მარეგულირებელი დოკუმენტები (მატერიალური რესურსის სარგებლობის წესები, ბიბლიოთეკარის დებულება და სხვა), რაც განსაზღვრავს რესურსების ხელმისაწვდომობისა და გამოყენების წესს. არსებული რესურსები დაკავშირებულია კურიკულუმით განსაზღვრულ თემებთან, აქტივობებთან და სასწავლო მიზნებთან, რაც ხელს უწყობს სასწავლო პროცესის პრაქტიკულად განხორციელებას. ბიბლიოთეკა, სასწავლო მასალები და სხვა ინფრასტრუქტურული შესაძლებლობები უზრუნველყოფს როგორც ძირითადი, ისე დამხმარე რესურსების გამოყენებას სასწავლო პროცესში.<br>საერთო ჯამში, მატერიალური რესურსები და მათი მართვის არსებული პრაქტიკა ქმნის პირობებს, რომ კურიკულუმით განსაზღვრული შედეგების მიღწევა იყოს შესაძლებელი ყველა საფეხურზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |
| მათემატიკა | სკოლას აქვს ყველა შესაძლებლობა როგორც ადამიანური, ისე მატერიალური რესურსის სახით უზრუნველყოს ყველა საფეხურის მათემატიკის კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |
| სპორტი | სკოლას გააჩნია შიდა სპორტული დარბაზი, რომელიც დახაზულია შესაბამისი სპორტული აქტივობებისთვის. დარბაზში დამონტაჟებულია კალათბურთის ფარები და ფრენბურთის ბადე, ასევე უზრუნველყოფილია გოგონებისა და ვაჟებისთვის განკუთვნილი გასახდელები. სპორტის დარბაზი საჭიროებს რეაბილიტაციას. სკოლაში გამოყოფილია ადგილი, სადაც განთავსებულია მაგიდის ჩოგბურთი. სკოლის ეზოში ასევე არის სპორტული მოედნისთვის განკუთვნილი ტერიტორია, რომელსაც არ აქვს ბალახის საფარი და საჭიროებს შესაბამის მოწესრიგებას. სკოლას აქვს ყველა საჭირო სპორტული ინვენტარი კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგის მისაღწევად: მაგიდის ჩოგბურთი, კონუსები (ფიშკები) მოედნის მოსანიშნად, კეგლები, რგოლები, ბარიერები და ბურთები.<br>**რჩევა:** მიზანშეწონილია განხორციელდეს სპორტული დარბაზისა და გარე სპორტული მოედნის რეაბილიტაცია, რაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს სკოლის ინფრასტრუქტურას |

| | |
|---|---|
| | და ხელს შეუწყობს სასწავლო პროცესის ეფექტურად წარმართვას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |
| ტექნოლოგიები | სკოლას აქვს განახლებული კომპიუტერული ლაბორატორია. კომპიუტერულ ლაბორატორიაში განთავსებული კომპიუტერების რაოდენობა შეესაბამისი იქნება კლასში მოსწავლეთა რაოდენობას. კომპიუტერების რაოდენობა საკმარისი იქნება იმისთვის, რომ საგაკვეთილო პროცესი მიმდინარეობდეს სრულფასოვნად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | *ივსება მხოლოდ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დაწყებითი საფეხურისთვის* პედაგოგებთან ინტერვიუთი გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესის ეფექტიანად წარმართვა და კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა მეტ-ნაკლებად უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსებით. კლასებში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა, სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეებს ძირითადი და დამხმარე სასწავლო მატერიალური და ციფრული რესურსებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** |

4. **სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი**

სკოლაში არსებული დოკუმენტაციის მიხედვით დადასტურდა, რომ დაწესებულება უზრუნველყოფილია კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო მასწავლებელთა და დამხმარე პერსონალის საკმარისი რაოდენობითა და შესაბამისი კვალიფიკაციით. საშტატო განრიგი (დანართი N17/N17.1) ასახავს დირექტორის, დირექტორის მოადგილის, ბუღალტრის, ბიბლიოთეკარის, მასწავლებლების, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის ასისტენტის, სკოლის ექიმის, დარაჯისა და დამლაგებლების პოზიციებს, რაც უზრუნველყოფს როგორც სასწავლო პროცესის, ისე სკოლაში მხარდაჭერისა და უსაფრთხო გარემოს შექმნას. თანამდებობრივი ინსტრუქციები (დანართი N33) და შრომითი ხელშეკრულებები (დანართი N15, N37) ცხადყოფს, რომ თითოეული თანამშრომელი საქმიანობას ახორციელებს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად და განსაზღვრული უფლებამოსილებების ფარგლებში, რაც უზრუნველყოფს კურიკულუმის განხორციელების უწყვეტობასა და ხარისხს. ვაკანტური საათების შევსების პროცედურები (დანართი N19 და N20) მიუთითებს, რომ სკოლის ადმინისტრაცია მოქმედებს გამჭვირვალე და ობიექტური წესებით, რაც უზრუნველყოფს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე

პირების შერჩევას საგნობრივ მიმართულებებში. სკოლის ექიმის დებულება (დანართი N31) ადასტურებს, რომ დამხმარე პერსონალის ნაწილში ასევე დაცულია საკვალიფიკაციო სტანდარტები - ექიმს აქვს სავალდებულო განათლება და სერთიფიკატები, რაც მნიშვნელოვანია როგორც უსაფრთხო, ისე ჯანსაღი სასწავლო გარემოს უზრუნველსაყოფად. დამატებით, აღსანიშნავია, რომ ადგილზე შემოწმდა მასწავლებელთა კომპეტენცია, სერთიფიცირება და განათლების დამადასტურებელი დოკუმენტაცია, რაც სრულ შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან და ვაკანტური საათების შესავსებად დადგენილ კრიტერიუმებთან. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ სასწავლო პროცესს უზრუნველყოფს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ადამიანური რესურსი.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

დანართი N17 საშტატო განრიგი;

დანართი N19 ვაკანტური საათების შესავსებად გამოცხადებული ღია კონკურსის ჩასატარებელი დოკუმენტაცია;

დანართი N39 დანართი მატერ.რესურს სარგ.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

| *დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* | *საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* | *საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* |
|---|---|---|
| ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

## 2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

### 2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად**

სკოლაში მიმდინარე პროცესების მონიტორინგი განხორციელებულია იმ მეთოდებისა და პროცედურების მიხედვით, რომლებიც განსაზღვრულია სასკოლო კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიაში და საგნობრივი კათედრების სამუშაო წესებში. კათედრები პერიოდულად განახორციელებენ სწავლებისა და შეფასების პროცესის შიდა დაკვირვებას, შეადარებენ დაგეგმილსა და განხორციელებულ აქტივობებს, აფასებენ გამოყენებული მეთოდების ეფექტიანობას და ასახავენ შედეგებს შესაბამის დოკუმენტაციაში. მონიტორინგი მოიცავს როგორც თემატური და სესიის გეგმების შესრულების კონტროლს, ისე შემაჯამებელი და განმავითარებელი შეფასების ვალიდურობის გადამოწმებას. აღნიშნული უზრუნველყოფს იმას, რომ მონიტორინგი ემთხვევა კურიკულუმის მიზნებს, სტანდარტებსა და შიდა პოლიტიკებს, ხოლო შეფასება სრულად არის ინტეგრირებული სასწავლო პროცესში და აგრძელებს მას მხარდაჭერისა და გაუმჯობესების ფუნქციას.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას**

მონიტორინგის შედეგად მიღებული მონაცემები სისტემურად გამოიყენება პრობლემების იდენტიფიცირებისა და მათი გადაჭრის გზების დასადგენად. როდესაც კათედრები აფიქსირებენ სწავლების სირთულეებს, საკვანძო კომპეტენციების დაუფლების გამოწვევებს ან შეფასების შედეგებში გამოვლენილ უთანაბრობას, ისინი აწარმოებენ სვოტ ანალიზს და ასახავენ კორექციის კონკრეტულ ღონისძიებებს. ეს შეიძლება მოიცავდეს სწავლების ალტერნატიული სტრატეგიების გამოყენებას, დამატებითი განმავითარებელი აქტივობების ორგანიზებას, რესურსების მოდიფიცირებას, ინდივიდუალური ან ჯგუფური მხარდაჭერის გაწევას. შედგენილი ანალიზები და ანგარიშები ეფუძნება მტკიცებულებებს და გამოიყენება როგორც მიმდინარე, ისე გრძელვადიანი გაუმჯობესების პროცესში. შედეგად, მონიტორინგი წარმოადგენს არა ფორმალურ, არამედ პრობლემის რეალური გადაჭრის მექანიზმს, რაც სკოლისის მუშაობას უფრო მიზანმიმართულსა და ეფექტიანს ხდის.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. **მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას**

მონიტორინგისა და შეფასების პროცესები მოიაზრება არა კონტროლის, არამედ მხარდაჭერის ინსტრუმენტად. მასწავლებლებს ეძლევათ ანალიტიკური უკუკავშირი, რომელიც ეხმარება მათ საკუთარი პრაქტიკის გაანალიზებასა და გაუმჯობესებაში. მოსწავლეები იღებენ განმავითარებელ შეფასებას, რომელიც მათ აძლევს შეხედულებას საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეების შესახებ და უწყობს ხელს განვითარების ინდივიდუალური ტრაექტორიის დაგეგმვას. მშობლები ინფორმირებულნი არიან სწავლის დინამიკის, შედეგებისა და საჭიროების შემთხვევაში დამატებითი დახმარების გზების შესახებ. კათედრების შიდა შეხვედრები, პედაგოგიური საბჭოს განხილვები და შეფასების ვერიფიკაციის პროცესი ემსახურება სწავლების ხარისხის ამაღლებას და სკოლაში თანამშრომლობის კულტურის გაძლიერებას. ამგვარად, მონიტორინგი და შეფასება ქმნის გარემოს, სადაც ყველა სუბიექტი - მოსწავლე, მასწავლებელი, მშობელი და ადმინისტრაცია — იღებს შესაბამის მხარდაჭერას სასწავლო პროცესის გაუმჯობესებისათვის.
**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*
დანართი N12. პედაგოგიური საბჭოს ოქმი. სამოქმედო განრიგი გვ. 2-ზე;
დანართი N23 ვერიფიკაციის დებულება და ბრძანება;
დანართი N69 სსსმ მოსწავლეზე ოქმი;
დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის წარმოდგენილი კურიკულუმები.

**2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს**

სკოლის დოკუმენტაციისა და საგნობრივი კათედრების მიერ წარმოდგენილი მასალების ანალიზი ცხადყოფს, რომ სასწავლო პროცესის შეფასება დაფუძნებულია მრავალფეროვან წყაროებზე. მასწავლებლები იყენებენ როგორც წერით, ისე ზეპირ, პრაქტიკულ, პროექტზე დაფუძნებულ და სადიაგნოსტიკო დავალებებს, მოსწავლის ნამუშევრებს, დაკვირვებებს, თემატურ აქტივობებს, მიმდინარე გაკვეთილებში დაფიქსირებულ პროგრესს და განმავითარებელ შეფასებებს. თითოეული დისციპლინა იყენებს შესაბამისი ტიპის მტკიცებულებებს - მაგალითად, ესთეტიკურ საგნებში შეფასება ეფუძნება პრაქტიკულ პროდუქტებს

და შემოქმედებით ნამუშევრებს, საბუნებისმეტყველო საგნებში - სადამკვირვებლო და კვლევით დავალებებს, ენებსა და საზოგადოებრივ მეცნიერებებში - ტექსტთან, არგუმენტაციასთან და დამოკიდებულებების ჩამოყალიბებასთან დაკავშირებულ პროდუქტებს. წყაროების მრავალფეროვნება უზრუნველყოფს მოსწავლის პროგრესის სრულ სურათს და ჰოლისტურ შეფასებას.
**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით**

შეფასების პროცესში ასახული მრავალფეროვანი კონტექსტები — კლასში შესრულებული აქტივობები, სახლის დავალებები, ჯგუფური პროექტები, საკლასო დისკუსია, დაკვირვება და პრეზენტაციები — მიუთითებს, რომ შეფასება არ შემოიფარგლება ერთ სიტუაციაში მიღებული შედეგით. მასწავლებლები სწავლების შინაარსს აკვირდებიან მრავალ გარემოში, რაც უზრუნველყოფს მოსწავლის უნარების, ქცევის, აკადემიური პროგრესისა და მონაწილეობითი დამოკიდებულებების კომპლექსურ ხედვას. კონტექსტების გათვალისწინება განსაკუთრებით თვალსაჩინოა იმ საგნებში, სადაც სხვადასხვა მოდალობა (საუბარი, წერა, მოსმენა, პრაქტიკული ქმედება, ანალიზი) ქმნის ცოდნის მრავალმხრივ საფუძველს. ამ მიდგომით, შეფასება ასახავს არა მხოლოდ მოსწავლის ცოდნის დონეს, არამედ მის კომპეტენციებს, განვითარებასა და სამომავლო საჭიროებებს.
**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. **შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები**

მონაცემთა შეგროვების მეთოდების მრავალფეროვნება — დაკვირვება, შესრულებული დავალებების ანალიზი, სესიაზე დაფიქსირებული უკუკავშირი, რუბრიკების შევსება, პროდუქტების შეფასება, თვითშეფასება და თანატოლთა შეფასება — ქმნის ჰოლისტურ შეფასების გარემოს. სკოლის მასწავლებლები იყენებენ როგორც რაოდენობრივ, ასევე ხარისხობრივ მონაცემებს, ვიზუალურ და წერით მტკიცებულებებს, დინამიკურ და სტრატეგიულ შეფასებას. მონაცემთა მრავალმხრივი შეგროვება უზრუნველყოფს შეფასების უფრო ობიექტურ სურათს, ამცირებს შეცდომის ალბათობას და ასახავს როგორც მოსწავლის ძლიერ მხარეებს, ისე იმ სფეროებს, სადაც დამატებითი მხარდაჭერაა საჭირო.
**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. **შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით**

შეფასებისას გათვალისწინებულია მოსწავლის ინდივიდუალური საჭიროებები, სწავლების ტემპი, უნარების განვითარების დონე, ლექსიკური, გრამატიკული, შემოქმედებითი და ანალიტიკური შესაძლებლობები, კლასში ჩართულობის ხარისხი, დავალებების შესრულების სტილი და პროგრესის სისწრაფე. სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინება განსაკუთრებით თვალსაჩინოა სსსმ მოსწავლეების შემთხვევაში, სადაც ინდივიდუალური სასწავლო გეგმების (ISG) სტრუქტურა განსაზღვრავს მოსწავლის საჭიროებებზე მორგებულ შეფასების ფორმებს. ამასთან, მასწავლებლები ითვალისწინებენ სწავლების მიზნების

მიღწევის დონეს, პროცესში ჩართულობას, ქცევით და სოციალური უნარების განვითარების ნიშნებს, რაც უზრუნველყოფს ჰოლისტურ ხედვას და მოსწავლის პროგრესის სიღრმისეულ გააზრებას.
**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*
დანართი N67 სსსმ მოსწავლეზე ანგარიში;
დანართი N69 სსსმ მოსწავლეზე ოქმი;
დანართი N71 კურიკულიმის მეთოდოლოგიის შემუშავებასთან დაკავშირებით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ;
დანართი N73 კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
დანართი N23 ვერიფიკაციის დებულება და ბრძანება;
წარმოდგენილი კურიკულუმები საშუალო, საბაზო და დაწყებითი საფეხურის.

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

| *დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* | *საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* | *საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* |
|---|---|---|
| ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

**2.4. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია**

**2.4.1. წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი**

პედკოლექტივთან და ადმინისტრაციის შესაბამის წარმომადგენლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ სასწავლო წლის განმავლობაში დაგროვილი გამოცდილება, განხორციელებული მონიტორინგის შედეგები და შეფასების პროცესში გამოვლენილი ტენდენციები სისტემურად გამოიყენება კურიკულუმის განვითარების სარეკომენდაციო პაკეტის ფორმირებისთვის. კათედრები რეგულარულად აფიქსირებენ სწავლების პროცესში გამოვლენილ საჭიროებებს, მათ შორის: მეთოდების დახვეწის, თემატური გეგმების გადამუშავების, რესურსების განახლების, ინტერდისციპლინარული აქტივობების გაძლიერებისა და შეფასების ინსტრუმენტების ოპტიმიზაციის მოთხოვნას. პედაგოგიური საბჭოსა და კათედრების მიერ წარმოდგენილი ანალიზები ეხმიანება რეალურ პრაქტიკაში გამოვლენილ გამოწვევებს, რის საფუძველზეც ყალიბდება რეკომენდაციები მომდევნო წლის კურიკულუმის გაუმჯობესებისთვის. შედეგად, რეკომენდაციათა პაკეტი წარმოადგენს მტკიცებულებებზე დაფუძნებულ, პრაქტიკული გამოცდილებით გამყარებულ მიმართულებებს, რომლებიც განაპირობებს სასწავლო პროცესის სისტემურ განვითარებას.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს**

ინტერვიუებისას დაფიქსირდა, რომ კურიკულუმის ყოველწლიური რევიზია ეფუძნება არა ფორმალურ, არამედ პრაქტიკული მონაცემებით მდიდარ ანალიტიკურ ბაზას. კათედრების მუშაობის სამიზნე აღმოჩნდა მიმდინარე წლის შედეგების გაანალიზება, გამოყენებული სტრატეგიების ეფექტიანობის შეფასება, მოსწავლეთა მიღწევების სურათის დაფიქსირება და ის საკითხები, რომლებიც საჭიროებს კორექციას. მონიტორინგისა და შეფასების შედეგების ერთიანი ანალიზი განსაზღვრავს, რომელი ელემენტები დარჩეს უცვლელი, რომელი დაიხვეწოს და რომელ ნაწილშია საჭირო მნიშვნელოვანი განახლება. რევიზიისას მასწავლებლები ითვალისწინებენ როგორც დარგობრივ სტანდარტებს, ისე რეალურ სასკოლო გარემოში გამოვლენილ საჭიროებებს — მათ შორის სსსმ მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს, სწავლების ტემპს, რესურსების ოპტიმალურ გამოყენებასა და სწავლების პროცესის მოქნილობას. ამ საფუძველზე მიღებული კურიკულუმის ახალი ვერსია წარმოადგენს მოქნილ, პრაქტიკაზე მორგებულ და კონკრეტულ მტკიცებულებებზე დაფუძნებულ დოკუმენტს, რომელიც სრულად ემსახურება სწავლების ხარისხის ზრდას.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

დანართი N 73 ურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;

პედაგოგიური საბჭოს ოქმები;

საგნობრივი კათედრების დოკუმენტები;

სწავლის და შეფასების მონიტორინგის შედეგები;

დანართი N23 ვერიფიკაციის დებულება;

დანართი N67, N68 სპეციალური მასწავლებლების ანგარიშები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

| *დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* | *საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* | *საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* |
|---|---|---|
| ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

# ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

……………………………………………………………………………………………………………………………

……………………………………………………………………………………………………………………………

თარიღი 23/04/2026

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: 

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: 

  

  

 

